ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 6 ოქტომბერი, 2020 №209 (8473) ფასი: 60 თეთრი

„ლუკა უკვე ძირს ეგდო გარდაცვლილი, ბავშვები ახლოს რომ მივიდნენ“

როგორ დაიღუპა მეხუთეკლასელი ბავშვი ქობულეთში

გვ.5

ანი მიროტაძე: „საჩხერეს მაგული ივანიშვილის სიძე ნუგზარ დეკანოიძე განაგებს“

„იქ ხალხი ვაგონებში ცხოვრობს“

გვ.2

„ოქრუაშვილის დამსახურებაა, რომ ივანიშვილმა იპოდრომი ქალაქს აჩუქა“

გურამ ჩალაგაშვილი: „ოცნებას“ არჩევნების გაყალბების საშუალებას არ მივცემთ“

გვ.3

ივანიშვილმა ამომრჩევლის მოსყიდვა დაიწყო!

კახა კოჟორიძე: „თუ ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიძლება, კითხვის ქვეშ დადგეს, მაშინ არჩევნების გადადებაზე ფიქრიც შეიძლება“



გვ.3

ანზორ აბრალავა: „საქართველო სამხედრო საბჭოს გზით მიჰყავთ“

გვ.4

„დევი ჭანკოტაძე ტყუილად არ შეუყვანიათ სიის ხუთეულში“

გვ.4

„ვაშაძისა და ბოკერიას პარტიები ხმებს ნაციონალებს ართმევენ“

პეტრე მამრაძე: „მომივიდა ინფორმაცია, რომ ბოკერიას პარტიას ადგილებზე მიუვიდა ზეპირი დირექტივა, თუ „ოცნებას“ გაუჭირდება არჩევნების დროს, ყველა ჩვენი ხმა „ოცნებაში“ უნდა წავიდესო“

მამუკა ხაზარაძე: „გახარია პრემიერად იმისთვის დაინიშნა, რომ ანაკლიის პროექტი გაეჩერებინა“

გვ.2

გვ.2

გიგი უგულავა: „მერი ვიყავი, როცა ივანიშვილმა იპოდრომის ტერიტორია იყიდა“

ISSN 1987-9385

2 მიხეილ ყაველაშვილი: „იპოდრომის პარკზე ზოგიერთი ოპონენტის შეფასება ავადმყოფური გადახრაა“

3 „ბავშვი წყლით მოიწამლაო, უთქვამს მშობელს“ რა მოხდა გორში

5 „თამარ ბაჩალიაშვილის მარშრუტი პროკურატურის გასაჯაროებულს საერთოდ არ შეესაბამება“

6 ილჰამ ალიევი: „ჩვენ სომხებს ძაღლებივით ვაძევებთ!“

ფაშინიანი: „ყველანი ჯარში! სომხეთს გენოციდი გვემუქრება!“

ანი მიროტაძე: „საჩხერეს მაგული ივანიშვილის სიძე ნუგზარ დეკანოიძე განაგებს“

„იქ ხალხი ვაგონებში ცხოვრობს“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ ვერ მოხვდა „ლელოს“ სიის 30-ეულში? რატომ გადაწყვიტა, სიის 150-ე ნომერი იყოს, რატომ მიიჩნევს, რომ ივანიშვილს საჩხერეში საფეოდალო აქვს შექმნილი, რა წინააღმდეგობებს ხვდება მათგან და რა აძლევს იმედს, რომ ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ მხარეში გაიმარჯვებს? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საჩხერის, ხარაგაულისა და ჭიათურის მაჟორიტარობის კანდიდატი „ლელოდან“ ანი მიროტაძე საუბრობს.

– მოულოდნელობა იყო, რომ პროპორციული სიის წამყვან პოზიციებზე არ იყავით. ყოველ შემთხვევაში, პირველ 30-ეულში არ ხართ. ეს იყო თქვენი გადაწყვეტილება თუ პარტიის?

– პარტიამ იმსჯელა ჩემს საკითხთან დაკავშირებით და, ბუნებრივია, რაღაც გარკვეული შემოთავაზებები იყო, მაგრამ მე ვარ სიის 150-ე ნომრად და ამას აქვს ძალიან სიმბოლური დატვირთვა. მე წამოვედი ყველაზე რთულ რაიონში – ეს არის საჩხერის, ჭიათურის, ხარაგაულის სამაჟორიტარო ოლქი. იცით, რაშიც მდგომარეობს ამ ოლქის სირთულე. მე გადავწყვიტე, რომ ბრძოლა ბოლომდე იყოს მაჟორიტარის მანდატისთვის. მე არ მჭირდება დაზღვეული დეპუტატობა. მე მჭირდება ამ რაიონის მაჟორიტარობა იმისათვის, რომ ამ სამაჟორიტარო ოლქს დაეტყოს ჩემი ხელი. ამის ამბიციაც მაქვს და პრეტენზიაც.

იმის მიუხედავად, რომ ძალიან მიშლის ხელს „ოცნება“, სუსი, ივანიშვილის საახლობლო, „ოცნების“ გაზულუქებული წარმომადგენლები, განსაკუთრებით საჩხერეში და ა.შ., დარწმუნებული ვარ, რომ თუ ზეწოლის უპრეცედენტო ზომები არ იქნება მიღებული და ხალხის დაშინება, მაშინ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ამ არჩევნებში, იმიტომ, რომ ეს ხალხი მხარს მიჭერს.

– გჯერათ, რომ საჩხერეში, ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ მხარეში, გაიმარჯვებთ?

– თქვენ რა გგონიათ, საჩხერეში ხალხი მშვენივრად ცხოვრობს? თქვენ იცით, რომ აქ ხალხი წლების განმავლობაში ვაგონებში ცხოვრობს? ხალხი ცხოვრობს იმ პირობებში, რომ არ იციან, როგორ გაიტანონ თავი თვიდან თვემდე. არც დახმარება აქვთ, არც სოციალური, არც პენსია, არც ივანიშვილი არაფერს უხდის და ვიბრძვი ბოლომდე და ბოლომდე იქნება მაჟორიტარობისთვის ბრძოლა.

ეს სისტემა დატოვა „ქართულმა ოცნებამ“ და რადგან ის ფიქრობს, რომ ამ სისტემით უნდა მოიგოს და ჯიბეში ჩაიდოს ხალხის ხმა, ამიტომ ეს ასე არ იქნება. ზუსტად ვიცი, როგორ უჭირს ამ ხალხს და რა სჭირდებათ მათ. მათ არავისი არაფერი სჭირდებათ, არც საჩხერელებს, არც ჭიათურელებსა და არც ხარაგაულელებს. მათ სჭირდებათ ხელისუფლება, რომელიც მიმართული იქნება ხალხისკენ და არა საკუთარი სარგებლის მოპოვება, რაც ხდება ამ უწიგნური მთავრობის ხელში. ასეთი უწიგნურები არიან მთელი ქვეყნის მასშტაბით.

– პარტიის ლიდერებმა სიაში წამყვან პოზიციებზე ჩასმა შემოგთავაზეს და უარი თქვით?

– კი. ვიყავი კარგ პოზიციაზე.

– გამსვლელ პოზიციაზე?

– არავინ იცის, რომელია გამსვლელი, მაგრამ იმ 30-წევრიან სიაში, რომელიც თქვენ ნახეთ, უპრობლემოდ ვიქნებოდი, მაგრამ ჩემი პირადი გადაწყვეტილებით სიაში ვარ 150-ე და ვიბრძოლებ ამ ოლქში.

„ბრძოლაში ჩავერთე ივანიშვილის ოჯახის საფეოდალოდან... ბრძოლა იქნება მეორე ტურში“

– არ ელოდებით, რომ კიდევ უფრო უპრეცედენტო იქნება თქვენ წინააღმდეგ ბრძოლა. ამისთვის მზად ხართ?

– როგორი უპრეცედენტო წინააღმდეგობაც შემხვდება, ზუსტად ისეთივე უპრეცედენტო იქნება ჩემი ბრძოლა გამარჯვებისთვის. არც ერთი ნაბიჯი არ იქნება უკანდახევა. მე არანაირი უფლება არ მაქვს, ამ ხალხთან ერთად ბოლომდე არ ვიბრძოლო. აუცილებლად დავანახებ მთელ ქვეყანას, რომ ამ საფეოდალოში, ბიძინა ივანიშვილს რომ ჰგონია, რომ ყველაფერი კარგადაა, არავის აღარ უნდა „ქართული ოცნება“. ყველაფერი, რა დაპირებაც გაცემული იყო, აღმოჩნდა, რომ ყველა ოცნებების სასაფლაოზეა.

ჩვენ მივდივართ ბრძოლაში. უფრო მეტი ბრძოლა უნდათ, უფრო მეტი ბრძოლა იქნება. ახლა დანებება ნიშნავს, რომ ვერასოდეს ვეღარ დავინახავთ ამ ქვეყნის პერსპექტივას. „ოცნება“ მორალურად ჩამოშლილი გუნდია, რომელიც მხოლოდ იმით აპირებს არჩევნების მოგებას, რომ დააშინოს სოციალურად შეჭირვებული ხალხი, 30 და 40 ლარს რომ აძლევენ, იმის მოხსნით ემუქრებიან. ადამიანებს, რომლებსაც ოჯახის ერთი წევრი მაინც ჰყავთ დასაქმებული, სამსახურიდან გაშვებით ემუქრებიან. სკოლის მასწავლებლებსა და ბაღის აღსაზრდელებზე აღარაფერს ვლაპარაკობ.

– მოქალაქეები არ გეკითხებიან ხოლმე, თქვენ არ იყავით ერთ დროს ივანიშვილის გუნდშიო?

– არა. აღარ მეკითხებიან. ამ ხალხმა დაინახა, იმის მიუხედავად, რომ ივანიშვილის გუნდთან ერთად მივედი ხელისუფლებაში, წამოვედით. კი არავინ გამოგვიშვა, დავინახეთ, რომ იქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა და 4 წელი ვამტკიცებდით, რომ ამათი ხელისუფლებაში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. ახლა მეუბნებიან, თურმე როგორი მართლები იყავითო. ყველა მიხვდა, რომ ამ ხელისუფლებას უნდა იმ ქონების შენარჩუნება, ივანიშვილის მორჩილებით რომ დააგროვეს. ივანიშვილს მორჩილები და მონები უყვარს. ხალხმა ეს ძალიან კარგად იცის.

ამ გაზულუქებულებმა საჩხერელები რომ არ დაამუნათონ, იმასაც ვიტყვი, რომ ეს ხალხი მადლიერია ივანიშვილის, თუ რამე გააკეთა. მაგრამ ამ ხალხს უნდა განვითარება. 21-ე საუკუნეა და ელემენტარული პირობები უნდათ. უმეტესად არ არის წყალი და გზა. იცით, რომ ხარაგაულში ძალიან ბევრ ადამიანს სასმელი წყალი არ აქვს? ან იცით, რომ საჩხერეში ძალიან ბევრ სოფელში წყალს 3 კილომეტრიდან ეზიდებიან?!

ივანიშვილის დის სოფელში არ არის წყალი, გაზი ერთ ნაწილშია, სადაც თავად ეს ქალბატონი ცხოვრობს, მეორეში კი – არა. ეს იმიტომ, რომ შერჩევითი სამართალია და ივანიშვილს შერჩევითი კეთილდღეობა უნდა. ამას სთავაზობენ ხალხს. აი, ეს არის ჩემი უპირატესობა მათ კანდიდატთან შედარებით, რომლის სასარგებლოდაც მთელი ადმინისტრაციული რესურსი მუშაობს, სუსი და ყველაფერი. მაგრამ ჩემთან არის ხალხი. ამიტომ ვთქვი უარი გარანტირებულ მაჟორიტარობაზე.

– „ოცნება“ საქართველოს საჩხერიზაციას აპირებს და ახსენეთ, წყალი და გზა არ არის საჩხერეშიო. ამას გვპირდებიან?

– ადამიანებს ელემენტარული პურის ფული არ აქვთ. სამუშაო ადგილები არ არის, თუ არ ჩავთვლით ადმინისტრაციულ ერთეულებსა და საავადმყოფოებს. ეს რაიონები დაცლილია. ასეთი დაცლილი საქართველო უნდათ. ხომ გახსოვთ, რომ ივანიშვილს ხალხი უნდა გადაემზადებინა და გაეგზავნა საქართველოდან, რაშიც კორონამ შეუშალა ხელი?! ეს არის მისი მოდელი, მაგრამ ჩვენ სხვანაირი მოდელი გვინდა – განვითარებული, ევროპული და პერსპექტივების მქონე საქართველოს მოდელი გვინდა.

მე ახლა კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა ჩემს ამომრჩევლებს, რომ თუ მე შევდივარ პარლამენტში, შევდივარ საჩხერელების, ჭიათურელებისა და ხარაგაულელების მხარდაჭერით.

– ალბათ, ატარებთ შიდა კვლევებს და რას გეუბნებათ, შედიხართ?

– შიდა კვლევები ამ ეტაპისთვის მეუბნება იმას, რომ ბრძოლა იქნება მეორე ტურში. იმედი მაქვს, ოპოზიციის დანარჩენი კანდიდატები მხარს დაუჭერენ ჩემს კანდიდატურას და ჩვენ გავიმარჯვებთ.

გიგი უგულავა: „მერი ვიყავი, როცა ივანიშვილმა იპოდრომის ტერიტორია იყიდა“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გიგი უგულავას განცხადებით, იპოდრომს, სადაც თბილისის ცენტრალური პარკი გაშენდება, სწორედ მისი მერობის დროს მიენიჭა ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის სტატუსი.

ამის შესახებ უგულავამ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ ისაუბრა.

გიგი უგულავა აღნიშნულ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს და იქვე დასძენს, რომ იპოდრომის ტერიტორია ბიძინა ივანიშვილმა სწორედ მისი მერობის დროს შეიძინა და იქ სხვადასხვა მშენებლობის დაწყების იდეა ჰქონდა.

– შედეგი რაც დადგა, კონტექსტის მიღმა, ძალიან კარგია. ამ შედეგის დადგომისთვის მეც ძალიან ბევრი ვიშრომე თავის დროზე, თუმცა, ბოლომდე ვერ მივაღწიე და მიუხედავად იმისა, რომ კერძო ტერიტორია იყო, ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონა სწორედ ჩემი წინადადებით დაადო თავის დროზე საკრებულომ. თავისთავად, შედეგი კარგი დადგა, თუმცა, იქ ამ პროცესში, როგორც კომპეტენტური ადამიანები იძახიან, ფულის გათეთრებასთან გვაქვს საქმე, ეს ყველაფერი ცუდია, ეს ყველაფერი გამოსაძიებელია, ეს ყველაფერი შესასწავლია და თუ ეს ასეა, შესაბამისი პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

ჯერ კიდევ შევარდნაძის ეპოქიდან ეს ტერიტორია იყო პრივატიზებული, შემდეგ რამდენიმე მფლობელი ჰყავდა, მე ვიყავი მერი, როცა ბატონმა ივანიშვილმა ეს ტერიტორია იყიდა, სხვათა შორის, ამ ტერიტორიაზე სულ რაღაც მშენებლობის იდეები ჰქონდა, მაგრამ მან იცოდა ჩემი დამოკიდებულება, რომ სკეპტიკურად ვუყურებდი ამ მიმართულებას და ამ შესაძლებლობას.

აგერ 8 წელი გავიდა, ამ 8 წლის განმავლობაში მას ნებისმიერ დროს შეეძლო, ხელისუფლებაში ყოფნისას ეს გაეკეთებინა, თუმცა საპირისპიროზე ფიქრობდა, იმიტომ რომ, სანამ მერი ვიყავი, მისი წარმომადგენლები დადიოდნენ სხვადასხვა რაღაც ნახაზებითა და პროექტებით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, კარგია, რომ გაუჭირდა, ეტყობა, თბილისში უჭირს და, შესაბამისად, ეს ნაბიჯი გადადგა.

რაც მოვყევი, იმ კონტექსტის მიუხედავად, შედეგი რაც დადგა, ძალიან კარგია. გინდა თბილისის ფილტვები დავარქვათ, გინდა მუნიციპალური პარკი დავარქვათ, ეს იქნება კარგი დასასვენებელი ადგილი, უფრო სწორად, თეორიულად აღარ დაემუქრება არაფრის მშენებლობა, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მამუკა ხაზარაძე: „გახარია პრემიერად იმისთვის დაინიშნა, რომ ანაკლიის პროექტი გაეჩერებინა“

– გიორგი გახარია პრემიერად იმისთვის დაინიშნა, რომ ანაკლიის პროექტი გაეჩერებინა და ბიძინა ივანიშვილის დავალება შეესრულებინა.

ამის შესახებ „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „პოლიტ-ქალაქში“ განაცხადა.

მისივე თქმით, გიორგი გახარიას ციხეში წასვლა მოუწევს თუ არა, ამას სასამართლო გადაწყვეტს, „მაგრამ პასუხისმგებლობას ვერსად გაექცევა“.

– მე გახარიასთან არანაირი პირადი ურთიერთობა არ მქონია, რაც არ გააკეთა და ვერ გააკეთა ბახტაძემ და კვირიკაშვილმა, გააკეთა გახარიამ. გიორგი გახარია დანიშვნისთანავე პირდაპირ უცხადებს ამერიკელებს, რომ ანაკლიის პორტი ქვეყანას არ სჭირდება და ამის ჩანაწერები არსებობს, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

მიხეილ ყაველაშვილი: „იპოდრომის პარკზე ზოგიერთი ოპონენტის შეფასება ავადმყოფური გადახრაა“

– იპოდრომის პარკთან დაკავშირებით ზოგიერთი ოპონენტის შეფასება მოვისმინე და პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს არის ავადმყოფური გადახრა.

ამის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ბევრი თბილისელის ოცნება ასრულდა.

– მორიგი უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა „ქართუ“ ფონდის და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილისგან. ბევრი თბილისელის და ჩვენი საზოგადოების წევრის ოცნება ასრულდა, რომ იპოდრომზე გაშენებულიყო პარკი. ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანი ნერვიულობდა და აკვირდებოდა, რა იქნებოდა. ძალიან მნიშვნელოვანია და მადლიერების გრძნობა მიჩნდება ყოველთვის.

მე არ მეგულება საქართველოში და არსად დედამიწის ზურგზე ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც ამ ფაქტზე ადამიანური შეგრძნებით კმაყოფილება არ გაუჩნდება. მე მოვისმინე ზოგიერთი ოპონენტის შეფასებები და პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს არის ავადმყოფური გადახრა.

თავი რომ დავანებოთ პოლიტიკურ შეხედულებებს, როცა საერთო სიკეთეზეა საუბარი და ადამიანი თავის კერძო ინვესტიციებს გადასცემს სახელმწიფოს, 200– მილიონიანი ინვესტიციაა, სადაც საერთო სიკეთე იქნება, ერთ-ერთი განსაკუთრებული პარკი იქნება, ავადმყოფური გადახრა უნდა გქონდეს, რომ ეს საპირისპიროდ დაინახო.

დენდროლოგიურ პარკზე ხომ გახსოვთ, მთელი სამი წელი რაზე ჰქონდათ აქცენტი, რომ ხეებს ჭრიან და რეალურად რამხელა სიკეთე მიიღო ქვეყანამ. როგორც რომან გოცირიძე თვალებში მიყურებდა და ამბობდა, რომ ბლეფია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, აი, ასე ატყუებდნენ საზოგადოებას, რომ არაფერი დენდროლოგიური პარკი არ შენდება და სახლში მიაქვს ბიძინა ივანიშვილს ხეები, აქაც იგივე, რომ თურმე აქ კორპუსების მშენებლობა უნდოდათ და ახლა წინასაარჩევნოდ უნდათ ხალხის მოსყიდვა, – განაცხადა ყაველაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოქრუაშვილის დამსახურებაა, რომ ივანიშვილმა იპოდრომი ქალაქს აჩუქა“

გურამ ჩალაგაშვილი: „ოცნებას“ არჩევნების გაყალბების საშუალებას არ მივცემთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო იძაბება პოლიტიკური ფონი. რამდენად ჯანსაღი გარემოა და რამდენად თანაბარ სიტუაციაში უწევთ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა პარტიებს?

– ხელისუფლება გაშმაგებულია. ადრე მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს ესხმოდნენ თავს, ახლა უკვე დაიწყეს ჟურნალისტების ცემა. მე თანადგომა მინდა გამოვუცხადო ჩვენი დროის ქართველ გმირს, ირაკლი ბებუას, რომელმაც ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დროშა დაწვა და თქვა, რომ ის არის ქართველი და სურს, იცხოვროს საქართველოში. ეს გმირი კაცი დაიჭირეს აფხაზებმა და ჩასვეს ციხეში. ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია ჩვენს ხელისუფლებას. ამ დროს კი გამოდიან და გვპირდებიან, ჩვენ დაგაბრუნებთ აფხაზეთშიო.

31 ოქტომბერს უნდა შეიცვალოს ეს ხელისუფლება და ყველა სფეროში გატარდეს რეფორმები, პირველ რიგში კი უნდა ეშველოს ეკონომიკას.

– ეკონომიკა უმძიმეს დღეშია და ასე მარტივად ვერ ეშველება.

– ძალიან მძიმე დღეშია, თუმცა სწორი რეფორმებით ყველაფერია შესაძლებელი. პირველ რიგში უნდა შემოვიდეს ინვესტიციები. ინვესტიციების შემოსვლას კი სჭირდება დაკარგული ნდობის აღდგენა. თუ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების თვალში არ დავიბრუნეთ რეფორმატორი ქვეყნის სტატუსი, ისე ქვეყანაში ინვესტიციები არ შემოვა.

– ბატონო გურამ, პროგნოზირებთ ხელისუფლების ცვლილებას, მაშინ როდესაც „ოცნების“ მამები 60%-ს პროგნოზირებენ თავიანთ სასარგებლოდ?

– რბილად რომ ვთქვათ, ეს არის ყველაზე დიდი ტყუილი. ეს სიბრიყვეა. პირველ რიგში, ისინი ამით ცდილობენ მათივე ამომრჩევლის გულის მოგებას, რომელიც მათ მხარს უჭერდა და დღეს ამ ხელისუფლებას ზურგი აქცია.

– ეს რამდენად გამოუვათ?

– ეს შეუძლებელია. ხელისუფალი, რომელიც მთელი 8 წლის განმავლობაში დაკავებულია იმით, რომ გაისქელოს ჯიბე, ამომრჩევლის მხარდაჭერას ვერ მიიღებს.

– მათ მიერ შეკვეთილი კვლევები ამომრჩეველს აჩვევს, რომ ისევ „ოცნება“ გაიმარჯვებს.

– ეს კვლევები მხოლოდ მათ მიერ კონტროლირებად ტელევიზიებში გადის. ეს არ არის სიმართლე. სიმართლე არის ის, რომ ხელისუფლებას აქვს 30%, ხოლო დანარჩენი 70% ოპოზიციის მხარდამჭერია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ხელისუფლებას ჩემოდნები უკვე ჩალაგებული აქვს.

– ოპოზიცია რამდენად შეძლებს შეთანხმებასა და შეჯერებას, როცა ასეთი დაპირისპირებაა მათ შორის?

– ოპოზიცია შეძლებს შეჯერებას. სულ ტყუილად ცდილობენ, დაპირისპირება დააბრალონ ოპოზიციას. ჩვენ შევძელით, თბილისში შევთანხმებულიყავით საერთო კანდიდატებზე. ასევე ყველამ დაინახა, რომ „ევროპულმა საქართველომ“ ღია მხარდაჭერა გამომიცხადა ქარელსა და ხაშურში. ჩვენ მათ გამოვუცხადეთ მხარდაჭერა გურიაში. ასე რომ, ოპოზიციას ტყუილად ნუ აბრალებენ დაპირისპირებას. სადაც საჭიროა, ყველგან ვთანხმდებით.

– რა ხდება ქარელსა და ხაშურში, სადაც თქვენ ხართ კანდიდატი?

– ეს არის მხარე, რომელიც ყველა ხელისუფლებისგან მივიწყებულია, სადაც არ არსებობს არანაირი პერსპექტივა იმისა, რომ ადამიანებმა ნორმალურად იცხოვრონ. ელემენტარულად, იმის საშუალება არა აქვთ ოჯახებს, რომ შვილებს სასკოლო ნივთები უყიდონ და სკოლაში გაუშვან. იქ მცხოვრებლებს არ აქვთ ინტერნეტი. ის დაპირებული ინტერნეტიზაცია მორჩა, წაიღო ქარმა. ინტერნეტი რომ გქონდეს ადამიანს, მისი გადახდის საშუალებაც უნდა გქონდეს. ქარელსა და ხაშურში ყველაზე მძიმე მდგომარეობაა, იმიტომ, რომ ადამიანებს 21-ე საუკუნეში სასმელი წყალი არა აქვთ.

ეს უნდა იყოს პირველი ამოცანა, რომ ეს ორი რაიონი სასმელი წყლით მომარაგდეს. მაშინ სწორედ მე ვიყავი სემეკის თავმჯდომარე და მე თვითონ მოვაწერე ამ შეთანხმებას ხელი, რომ ამ ორ რაიონს წყალი ჰქონოდა. სად არის წყალი? 8 წლის განმავლობაში რით ვერ მიიყვანეს იქამდე?! სად წავიდა ამისთვის გამოყოფილი თანხები?! ისევ და ისევ მათ ჯიბეებში! თუ გვინდა, რომ გვეშველოს, პირველ რიგში გლეხს უნდა მივცეთ განვითარების საშუალება.

– თუკი „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ხელისუფლებაში მესამე ვადით დარჩენა, მაშინ რა იქნება? ეს იქნება გაყალბებული არჩევნები თუ ამომრჩეველს ისევ ძველი ხელისუფლება ურჩევნია ოპოზიციას?

– ოპოზიციამ შევქმენით ხმების დაცვის საკოორდინაციო ჯგუფი, გვაქვს ოფისი და 25 ათასი ადამიანია გაერთიანებული ამ ჯგუფში. ისინი მთელი საქართველოს მასშტაბით დაიცავენ თითოეულ ხმას. ჩვენ არ მივცემთ „ოცნებას“ იმის საშუალებას, რომ ხმები გააყალბოს! ჩვენი პარტნიორებისგანაც გაასმაგებული ყურადღებაა აქეთ მოპყრობილი.

– ვერ გაბედავენ გაყალბებას?

– ვერ გაბედავენ, რადგან ივანიშვილს აქვს ორი არჩევანი, ან ჩაატაროს ობიექტური არჩევნები, დათმოს ხელისუფლება და გადავიდეს ოპოზიციაში, ან გააყალბოს არჩევნები და დაკარგოს ყველაფერი, ხელისუფლებაც და თავისი ქონებაც. ახლა გაახსენდა არჩევნების წინ საბურთალოს მცხოვრებლები?! იპოდრომის გადაცემაც ხომ იძულებით მოხდა მისი მხრიდან.

– რატომ, ვინ აიძულა?

– სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი იყო პირველი, რომელიც ამაზე ალაპარაკდა. სწორედ ირაკლიმ თქვა რამდენიმე კვირის წინ, რომ ყველაზე მთავარი, რაც საბურთალოს სჭირდება, არის სუფთა ჰაერი. სწორედ მან დაიწყო პირველმა ამაზე საუბარი და ამ განცხადებების ფონზე ბიძინა ივანიშვილმა იპოდრომი გადასცა თბილისის მუნიციპალიტეტს. ის გახდება რეკრეაციული ზონა და იქ გაშენდება სკვერი.

პირადად ირაკლი ოქრუაშვილის დამსახურებაა, რომ თბილისელებმა დაიბრუნეს ეს ტერიტორია.

ივანიშვილმა ამომრჩევლის მოსყიდვა დაიწყო!

ნათია ხურცილავა

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

კახა კოჟორიძე: „თუ ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიძლება, კითხვის ქვეშ დადგეს, მაშინ არჩევნების გადადებაზე ფიქრიც შეიძლება“

– ბატონო კახა, 500-მეტი დაინფიცირებული ვლინდება ყოველდღიურად, თუმცა განსაკუთრებული ზომების მიღება არ ხდება, მაშინ როდესაც 20 შემთხვევაზე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– ხელისუფლება ნებისმიერ დროს ვალდებულია, კონსტიტუციით თუ მორალურად, არა აქვს მნიშვნელობა, წინასაარჩევნო პერიოდია ქვეყანაში თუ რა, იზრუნოს ადამიანების ჯანმრთელობაზე, მათ უსაფრთხოებაზე.

გასაგებია, შეზღუდვებზე თავს იკავებენ წინასაარჩევნო გარემოდან გამომდინარე, მაგრამ, ამომრჩევლის თვალით რომ შევხედოთ, ადამიანების ჯანმრთელობას კითხვის ქვეშ ხომ ვერ დავაყენებთ. მთელი ზაფხულის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენლები თავად არ იცავდნენ უსაფრთხოების ნორმებს. არაერთ ღონისძიებაზე წესები არ იყო დაცული. სხვათა შორის, აჭარაში ეპიდაფეთქება ამას მოჰყვა. საკუთარი თვალით ვნახე კატასტროფული რიგები დენდროლოგიური პარკთან. ხომ ყველამ იცის, როგორ მიჰყავდათ ხალხი პარკში. ურეკავდნენ სკოლის მასწავლებლებს, ბაღის მასწავლებლებს, საჯარო სამსახურში მომუშავე ადამიანებს, რომ პარკი ენახათ. ეს ხდებოდა ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე. ათასობით ადამიანი ჭყლეტაში იდგა და ელოდა ბიძინას გადარგული ხეების ნახვას. რატომ არ გათვალეს, რომ ამას შეიძლება ასეთი სავალალო შედეგები მოჰყოლოდა?!

ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ გაკეთდა, მაგრამ რატომ არ იფიქრეს იმაზე, რომ სწორედ არჩევნების წინ ასეთ სურათს მივიღებდით?! პირდაპირ ვიტყვი: თუ ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიძლება, კითხვის ქვეშ დადგეს, მაშინ არჩევნების გადადებაზე ფიქრიც შეიძლება. ეს მხოლოდ ჩემი პოზიციაა.

ამ ფონზე, როდესაც ასეთი საგანგაშო ვითარება გვაქვს ეპიდემიური თვალსაზრისით ქვეყანაში, რა არის ხელისუფლების ამოცანა?

– როგორ ფიქრობთ, რა არის?

– პირველ რიგში, არჩევნები არ გადაიდოს, მაგრამ ხალხი სტრესისა და შიშის ქვეშ იყოს. ხელისუფლება ფიქრობს, რომ ამომრჩევლის აქტივობის შემცირებით მათი პროცენტული მაჩვენებლები გაიზრდება. ისინი ფიქრობენ, რომ ადამიანები თავს შეიკავებენ და არჩევნებში არ მიიღებენ მონაწილეობას, რაც მათ აწყობთ.

ასევე გასარკვევია, რა გაკეთდა გაზაფხულიდან დღემდე. გვაქვს საკმარისი სასუნთქი აპარატები?! გვაქვს სწრაფი და პისიარტესტები საკმარისი რაოდენობით?! როგორც ვიცი, საკმაოდ კრიზისულია ამ კუთხით ვითარება. ამ კითხვებზე როგორია ხელისუფლების პასუხი?! რამდენად სათანადოდ მოემზადა სახელმწიფო შემოდგომაზე მეორე ტალღისთვის?! ეს ყველაფერი ხომ გათვლადი და პროგნოზირებადი იყო! მთავარი კითხვაა: სახელმწიფო როგორი მომზადებული დახვდა?!

– პოლიტიკურ პროცესზე მაინტერესებს თქვენი პოზიცია: თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ 60%-მდე აიღებენ და არავის დახმარება არ დასჭირდებათ, ისე ჩამოაყალიბებენ მთავრობას.

– „ქართული ოცნების“ ამ ოცნებისა და ზღაპრის არავის სჯერა. 2016 წელს, როდესაც ბევრად უკეთესად ჰქონდათ საქმე, მაშინ აიღეს 48% და ახლა, როდესაც მათი რეიტინგი ძალიან დაცემულია, როგორ აპირებენ გამარჯვებას?! გამორიცხულია „ქართულმა ოცნებამ“ დამოუკიდებლად დააკომპლექტოს მთავრობა.

ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რა რეიტინგი აქვთ მათ ხალხში. ხაშური-ქარელში, სადაც მე კენჭს ვიყარი, ადამიანებს სასმელი წყალი არ აქვთ. მაღალ მატერიებზე არ არის საუბარი, საუბარია წყალზე. ოჯახ-ოჯახ, სოფელ-სოფელ დავდივარ და არც ერთი ოჯახი არ შემხვედრია, რომელიც „ქართულ ოცნებას“ გულწრფელად უჭერს მხარს. რაიონებში, სოფლებში კატასტროფული მდგომარეობაა. უმუშევრობაზე, შიმშილზე, ცხოვრების დონეზე აღარ ვსაუბრობ. ადამიანები ურთულეს მდგომარეობაში არიან და წარმოიდგინეთ, ჩემი კონკურენტი „ქართული ოცნებიდან“ დებატებზე ამბობს უარს. პარლამენტში კანონპროექტი შევიტანეთ, რომ სამომავლოდ პოლიტიკურ დებატებში სახელისუფლებო კანდიდატის მონაწილეობა აუცილებელი გახდეს, რომ მხოლოდ ბილბორდებით არ ესაუბრონ მოსახლეობას. ფიქრობენ, რომ ვინც უფრო ფართოდ გაიღიმებს, ამის მიხედვით გააკეთებს ამომრჩეველი არჩევანს. ამომრჩეველს კონკრეტული გეგმა უნდა, რომლითაც მისი პრობლემა გადაწყდება. ეს გეგმა „ქართულ ოცნებას“ არ აქვს.

– რეალურია კოალიციური მთავრობა?

– რეალური სოციოლოგიური მონაცემებით ვერც ერთი პოლიტიკური ძალა დამოუკიდებლად მთავრობას ვერ აკომპლექტებს. ამ არჩევნების შედეგად ჩვენ ახალი ხელისუფლება გვეყოლება, რომელიც კოალიციური იქნება, სხვადასხვა ძალისგან დაკომპლექტებული. „ლელო“ კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

– „ქართუს“ საკუთრებაში არსებული იპოდრომის ყოფილი ტერიტორია თბილისის მერიას გადაეცა, სადაც ცენტრალური პარკი აშენდება „ქართუს“ დახმარებით. რას იტყვით?

– რატომ მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ?! რატომ აქამდე არა?! საერთაშორისო სტანდარტებით ეს ნამდვილად შეიცავს საარჩევნო მოსყიდვის ნიშნებს, რაც არ შეიძლება და აკრძალულია, მაგრამ ბატონი ბიძინა საკუთარ თავს ხომ არ დაიჭერს.

„ბავშვი წყლით მოიწამლაო, უთქვამს მშობელს“

რა მოხდა გორში

3-4 ოქტომბერს გორში, დედათა და ბავშვთა საავადმყოფოში, 48 არასრულწლოვანი ინტოქსიკაციის ნიშნებით შეიყვანეს. რამ გამოიწვია მოზარდების ინტოქსიკაცია, უცნობია. ყველა მათგანი გორში, კომბინატის დასახლების მცხოვრებია.

– მშობლები უკავშირებენ წყალს ან საკვებს. მიზეზებს ადგენენ. მოწამვლის შემთხვევები ძირითადად ერთ უბანს, კომბინატს უკავშირდება, – აცხადებს „იავნანას“ ექიმი.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში აცხადებენ, რომ სასმელი წყლის დაბინძურების ფაქტს ადგილი არა აქვს.

ამის შესახებ „ქართლს“ კომპანია გორის სერვისცენტრის მენეჯერი შალვა ტაბატაძე ესაუბრა.

მისი თქმით, 5 ოქტომბერს, დილით, სასმელი წყლის მოწამვლის თაობაზე ჭორი გავრცელდა. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შემოწმება დაიწყო და ლაბორატორიულ დასკვნას მაინც დადებენ.

– ერთ-ერთ სკოლაში მშობელი მისულა და უთქვამს, ბავშვი წყლით მოიწამლა და აღარ დაალევინოთო. ჩვენ მაშინვე დავიწყეთ ძებნა, თუ სად, რომელ ოჯახში მოხდა ეს. ვერ მივაკვლიეთ ასეთ ოჯახს. წყალი ყოველდღიურად სისტემაში მოწმდება და, ეს რომ არ გავაკეთოთ, არავინ გვაპატიებს. მიუხედავად ამისა, დღის განმავლობაში წყალი ლაბორატორიულად შემოწმდება და ყველა ნახავს, რომ სიცრუე გავრცელდა, – განაცხადა შალვა ტაბატაძემ.

ცენტრმა „იავნანამ“ ასეთი განცხადება გავრცელა:

„გორმედის“ ქალების დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრ „იავნანას“ 3-4 ოქტომბერს ინტოქსიკაციის სიმპტომებით მომართა 48 პაციენტმა. პაციენტების ასაკი 1-დან 16 წლამდეა. აღნიშნული მოზარდებიდან 16 მოთავსდა სტაციონარში, დანარჩენ 32 ბავშვს კი გაეწია შესაბამისი მომსახურება და ყველა მათგანმა დატოვა კლინიკა. რაც შეეხება სტაციონარში მოთავსებულებს, არც ერთი მათგანის მდგომარეობა მძიმე არ არის, ძირითადად, მსუბუქი და საშუალო სიმძიმისაა.

რაც შეეხება 5 ოქტომბერს, 16:00 საათის მონაცემებით, ინტოქსიკაციის სიმპტომებით „იავნანას“ 18-მა პაციენტმა მომართა. მათგან მხოლოდ 1 მოთავსდა სტაციონარში, 17 მოზარდს კი გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში გაეწია სამედიცინო მომსახურება, მათგან 12-მა კლინიკა უკვე დატოვა.

მთლიანობაში, დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრ „იავნანას“ პედიატრიულ განყოფილებაში, 16:00 საათის მონაცემებით, ბაქტერიული გასტროენტერიტით მოთავსებულია 17 პაციენტი. ყველა მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია“.

ანზორ აბრალავა: „საქართველო სამხედრო საბჭოს გზით მიჰყავთ“

„დევი ჭანკოტაძე ტყუილად არ შეუყვანიათ სიის ხუთეულში“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნო საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოს ანზორ აბრალავას.

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აგრძელებენ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის შეფასებას. ზოგი ამბობს, რომ ეს დეგრადირებული ადამიანების სიაა, ზოგისთვის ეს არის ფულიანი ადამიანების ნაკრები. რას იტყვით?

– მმართველი პარტიის ადგილზე ამ საკითხს ამდენ დროს არ დავუთმობდი. არ მესმის, რატომ უსწორებენ ვინმეს საარჩევნო სიას. საზოგადოება კი უნდა იყოს ინფორმირებული ნაცმოძრაობის კოალიციაში წარმოდგენილ პიროვნებებზე. ეს პერსონალიები შეიძლება მოხვდნენ პარლამენტში და გააგრძელონ შევარდნაძე-კიტოვანი-იოსელიანის პოლიტიკა.

– სიის პირველ ნომერს, განთქმულ მომღერალ ბუბა კიკაბიძეს უკვე წამოაძახეს პუტჩისტობა. თქვენც ამაზე საუბრობთ?

– რასაკვირველია. საქართველო სამხედრო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოს გზით მიჰყავთ. ერთ კაცში არ არის საქმე. „კაცია ადამიანის“ შესავალში ილია ჭავჭავაძე განმარტავს, რატომ ამოირჩია პერსონაჟად ლუარსაბი. ის ჰგავს სხვებს და სხვები მას ჰგვანან. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ბრუნდება სამხედრო საბჭო თავისი იდეოლოგიით, იქმნება ახალი კრიმინალური საბჭო, რომელიც აწყობს გადატრიალებებს და ამხობს არჩეულ ხელისუფლებას. კიკაბიძე რომ იმდროინდელ მოვლენებში მონაწილეობდა, საიდუმლოს არ წარმოადგენს. ის კარგი მომღერალია, მაგრამ მაშინ, გამსახურდიას დროს, ძალიან ცუდად იქცეოდა. სააკაშვილი იმ პერიოდში არ ჩანდა, თუმცა იმ ანტისახელმწიფოებრივ პროცესში ჩართული იყო მისი ოჯახი. სააკაშვილის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები სხვა წლებში გამოიკვეთა.

– წინასაარჩევნოდ საქართველოში ხშირია მუშტი-კრივი. ტრადიცია გრძელდება?

– ასე გამოდის. ძალადობა სწორედ იმ სამხედრო და სახელმწიფო საბჭოდან მომდინარეობს, რომლის გახსენება არ გვინდა. ამას ყოველთვის ხელი ეწყობოდა. თავიანთ ძალადობას გამსახურდიას აბრალებდნენ. იმასაც კი იძახდნენ, საკუთარ თავს ესროლაო. ახლაც ვრცელდება დეზინფორმაციები. ნაცმოძრაობას რევოლუციური პათოსი აქვს. ეს ხალხი ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას, უნდა, მიიპყროს საერთაშორისო ყურადღება, მერე კი მოაწყოს რევოლუცია. დარწმუნებული ვარ, ეს არ გამოვა. მათი ნამდვილი სახე საქართველოშიც იციან და გარეთაც. დევი ჭანკოტაძის სამხედრო კარიერას არ ვეხები. შესაძლოა, ის პროფესიონალია. დევი ჭანკოტაძე ტყუილად არ შეუყვანიათ სიის ხუთეულში. მას მაჟორიტარად კენჭისყრაზე დროს არ აკარგვინებენ. რევოლუციურ გეგმებს სჭირდება ჭანკოტაძის გამოცდილება.

– საზოგადოების ნაწილისთვის „ქართული ოცნებაც“ შევარდნაძის მიმდევარი და პორტირებული ნაციონალების შეკრების ადგილია.

– ამგვარი რეციდივები ყველგან შეიძლება იყოს. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ პარლამენტში მოჰყავთ სამხედრო საბჭოს ქმედებების უშუალო მონაწილეები, ამ იდეოლოგიის აპოლოგეტები. გამსახურდიას რომ ამხობდნენ, იყო ლოზუნგი „ყველა მინუს ერთი“. ახლაც იგივე შეძახილებია. ეს გადამტრიალებლები არ გამოდიან მარტო ივანიშვილის წინააღმდეგ. ისინი ქვეყანას უპირისპირდებიან.

– ვარაუდობთ, რომ „ოცნება“ ისევ უმრავლესობით მოვა 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად. კიდევ ვინ მოიპოვებს მანდატებს?

– საუბედუროდ, მანდატებს მოიპოვებს ნაცმოძრაობის კოალიცია. „ქართულ ოცნებასთან“ შედარებით, ეს იქნება მანდატების მცირე რაოდენობა. სხვა პარტიები კიდევ უფრო ნაკლები წარმომადგენლობით მოვლენ. სააკაშვილს არ ჰყავს იდეოლოგიური მომხრეები. მის კოალიციას მხარს უჭერენ პრაგმატიკოსები, რომლებიც ელიან პირად სარგებელს გამარჯვების შემთხვევაში.

– სააკაშვილს ხშირად უწოდებენ „დიდ პოლიტიკოსს“.

– არ ვიცი, როგორ ზომავენ ამის მთქმელები დიდ პოლიტიკოსებს, დიდ დემოკრატებსა და დიდ დიქტატორებს. დიდ პოლიტიკოსად შეიძლება ჩაითვალოს წესიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც აძლიერებს სახელმწიფოს ტერიტორიულად, იბრუნებს დაკარგულს. სააკაშვილის დროს საქართველომ მიწები დაკარგა. დავით გარეჯის მიმდებარე საზღვრის დადგენის საკითხზე კაპიტულანტურად მოიქცა. გამოძიება გაარკვევს, რა მოხდა. სააკაშვილის დროს ამ თემაზე საქართველოს პოზიციას ახმოვანებდა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე. მისი ამ სამინისტროში დანიშვნა საერთოდ გაუგებარია. აი, ასეთი პირები ჰყავდა სააკაშვილს. მის დროს არჩევნები ყოველთვის ყალბდებოდა. ცესკოს მაშინდელი თავმჯდომარეები და გამყალბებლები ახლა სხვადასხვა პარტიაში არიან და ყველას ჭკუას ასწავლიან.

– ძალადობის გარდა, რა ტენდენციები გამოიკვეთა წინასაარჩევნო კამპანიის დროს?

– ძალადობის გამეორებას კიდევ არ გამოვრიცხავ. გამოიკვეთა ის, რომ არ არსებობს სოციალური ორიენტაციის სერიოზული ძალები. გავეცანი „ლელოს“ „მარშალის გეგმას“. იქ არის კარგი ფრაზები და დაპირებები, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ბანკები ხალხს პროცენტებს შეუმცირებენ.

– ამაზე სხვები ლაპარაკობენ. „ლელო“ კერძო მევახშეობის წინააღმდეგ გამოდის.

– ადამიანებს კერძო მევახშეებიც აზარალებენ და ბანკებიც, რომლებიც კაბალურ პროცენტებს აწესებენ. ამ ბანკებს გამოჭერილი ჰყავთ მთელი მოსახლეობა. პარტიების ნაწილი საუბრობს პროცენტების დაწევაზე. ეს კარგია, მაგრამ ამ პარტიების ხედვები კომპლექსური არ არის.

– ანუ სოციალური ორიენტაცია ფრაგმენტულია?

– დიახ. თუ ხარ სოციალური მიმართულების ძალა, უნდა მოიცვა პოლიტიკა, ეკონომიკა, ასევე – სოციალური სფერო და სამართალი. ამ არჩევნების წინ ასეთი სისტემატიზაცია არ ჩანს.

„ვაშაძისა და ბოკერიას პარტიები ხმებს ნაციონალებს ართმევენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, წინასაარჩევნო პროცესში უკვე წარადგინეს სიები, პროგრამები. არის დაპირებები, აქვთ სლოგანები. პოლიტიკურ ბაზარზე წარმოდგენილი სლოგანებიდან თქვენი ყურადღება რომელიმემ თუ მიიქცია?

– წარმოდგენილი სლოგანებიდან ჩემი ყურადღება არც ერთმა არ მიიქცია. მე ვაკვირდები სიტუაციას, ვხვდები ხალხს და ვხედავ, რომ ადამიანებზე ეს დაპირებები პოზიტიურად არ მოქმედებს, უნდობლობის ფაქტორი ძალიან ძლიერია.

– ხალხი რას ფიქრობს?

– ხალხის აზრით, ეს ე.წ. პოლიტიკოსები საჯაროდ გამოდიან და ლოზუნგებს ქმნიან ხელისუფლებაში მოსვლისთვის. ხელისუფლებაში მოსვლა კი პირადი გამორჩენისთვის, პირადი მატერიალური გამორჩენისა და ფუფუნებისთვის უნდათ. ხალხზე მაინც არ იფიქრებენ, რაც უნდა შემოგვთავაზონ.

– 30-წლიანმა პოლიტიკურმა ბატალიებმა თქვენ თვალწინ გაიარა. ნინო ბურჯანაძეს აქვს სლოგანი „მიეცი ხმა ძალას და გამოცდილებას“. ნინო ბურჯანაძეს რა ძალა აქვს და რის გამოცდილება გააჩნია?

– ფორმალურად ბურჯანაძეს გამოცდილება ნამდვილად არ აკლია. ჯერ პარლამენტის დეპუტატი იყო, შემდეგ – თავმჯდომარე.

– ბურჯანაძე ორჯერ პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ორჯერ – პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი და რა გააკეთა?

– ეგ მინდოდა მეთქვა. მახსოვს, 1992 წელს ნინო ბურჯანაძე დავპატიჟეთ და პარლამენტში საგარეო საკითხებში ჩვენი კონსულტანტი იყო. მას მრავალი გამოსვლა ჰქონდა ტელევიზიით, მრავალი შეხვედრა უცხოურ დელეგაციებთან.

– რას აძლევს ეს საზოგადოებას?

– ფორმალურად გამოცდილება სახეზეა, მაგრამ, რეალურად, როდესაც ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო, შიგნით, პარლამენტში გაცილებით გავლენიანი ადამიანები, კოლექტიური ბოკერიები იყვნენ და, შესაბამისად, ბურჯანაძეს ძირითადად უხდებოდა იმის კეთება, რასაც ქვეყნის მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა წყვეტდა.

ასე იყო მაშინაც, როდესაც ფორმალურად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ. ამიტომ გამოცდილებაც არის და გამოცდილებაც. ასობით მინისტრი გამოიცვალა საქართველომ ამ წლებში (მინისტრობა საზოგადოდ ძალიან მაღალი თანამდებობაა), მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი, უბრალოდ, შემსრულებელი იყო და სხვა არაფერი.

რაც შეეხება ძალას, აქ ბურჯანაძე შეიძლება გულისხმობდეს, რომ მტკიცე ადამიანია, წონასწორობას არასოდეს კარგავს. გახსოვთ, სააკაშვილმა ბურჯანაძეს ნამდვილი ფოლადის თუ რკინის ლედი უწოდა. შეიძლება, გულისხმობდეს იმას, რომ პრეტენზია აქვს, ძლიერი პოლიტიკური ნებისაა, არ შეუშინდა კრიტიკას და ჩავიდა რუსეთში, შეხვდა პუტინსა და სხვებს. ბურჯანაძემ არაერთხელ თქვა, რომ საჭიროა დალაპარაკება და მიანიშნებს იმაზე, თვითონ რომ იყოს ხელისუფლების სათავეში, რუსეთთან პრობლემებს მოაგვარებდა.

– ახლახან ეს ბურჯანაძემ პირდაპირ განაცხადა.

– დიახ, მაგრამ ხალხის ნდობა არ არის. ადამიანების დიდ ნაწილს ბურჯანაძის არც გამოცდილების და არც მისი ძალის არ სჯერა. ეს ფაქტია. ყოველგვარი გამოკითხვების გარეშე ჩანს, რომ ადამიანების რაოდენობა, რომელსაც მისი სჯერა და ხმას მისცემს, დიდი ნამდვილად არ არის.

– ბოკერიას პარტიას აქვს სლოგანი: „თქვენი კომპასი გარდამტეხი ცვლილებებისთვის“. ბოკერიას პარტია ის ძალაა, რომელიც მოვა უმრავლესობით და გარდამტეხ ცვლილებებს მოახდენს საქართველოში?

– არა. ბოკერიას პარტია წმინდა წყლის იმიტაციური, ე.წ. ყალბი პარტიაა, რომლის რეიტინგი საერთოდ ნულის ტოლია. ამას წინათ ბოკერიამ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, სააკაშვილის თითქმის ყველა გამოსვლა წყალს ასხამს „ოცნების“ წისქვილზე და „ოცნებას“ ხელს აძლევს. მე ამაზე გეტყვით, რომ ბოკერია მართალია, სააკაშვილის თითქმის ყველა გამოსვლა მართლაც სასარგებლოა „ოცნებისთვის“ გასაგები მიზეზების გამო.

ბოკერიას შემთხვევაში, ბოკერიას არათუ ყველა გამოსვლა, არამედ, უბრალოდ, ტელევიზიით მისი გამოჩენა ყოველთვის სასარგებლოა „ოცნებისთვის“. მის მიმართ ისეთი ანტიპათიაა მოსახლეობის უდიდეს ნაწილში, ისეთი იმპულსი მოდის, რომ ხალხი ფიქრობს, ოღონდ ეს არა... ბოკერიას ისეთი ანტიქარიზმა აქვს და ადამიანებში ისეთ ანტიპათიას იწვევს, რომ „ოცნებიდან“ დიდ პრემიებს უნდა იღებდეს. კომპეტენტური ადამიანებისაგან გამიგია, რომ „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ბოკერია-ჩერგოლეიშვილის საერთო ქონება და ფინანსები ძალიან გაიზარდა.

პეტრე მამრაძე: „მომივიდა ინფორმაცია, რომ ბოკერიას პარტიას ადგილებზე მიუვიდა ზეპირი დირექტივა, თუ „ოცნებას“ გაუჭირდება არჩევნების დროს, ყველა ჩვენი ხმა „ოცნებაში“ უნდა წავიდესო“

– საინტერესოა, როგორ მოახერხეს?

– ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ მერაბიშვილ-ადეიშვილის პირობებში ასე ვერ გაჯეჯილდებოდნენ და გამდიდრდებოდნენ, რადგან სხვა დრო იყო. ამ დღეებში მომივიდა ინფორმაცია, რომ ბოკერიას პარტიას ადგილებზე მიუვიდა ზეპირი დირექტივა, თუ „ოცნებას“ გაუჭირდება არჩევნების დროს, ყველა ჩვენი ხმა „ოცნებაში“ უნდა წავიდესო.

– ასეთი რამ ხომ არ იმალება? ასეთი „დირექტივები“ „ოცნებას“ ხმებს ხომ აკლებს? როგორც მე ვიცი, „ოცნების“ მომხრეებს არ უნდათ, ბოკერიასთან რაიმე კავშირი ჰქონდეთ.

– დიახ. მე ვიცი რამდენიმე შემთხვევა (თუმცა, ვერ ვასაბუთებ. ხელში დოკუმენტი არ მაქვს. უბრალოდ, ძველი დროიდან ვისაც ვიცნობ და მეუბნებიან), რომ ერთმა-ორმა ყოველგვარი საჯარო სკანდალის გარეშე რაიონებში ბოკერიას პარტია დატოვა. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ემზადებოდნენ არჩევნებისთვის და ბოკერიას პარტიიდან საარჩევნო კომისიებში უნდა ყოფილიყვნენ, პარტია დატოვეს.

– ასეთი „დირექტივები“ შეგნებულად ხომ არ ვრცელდება?

– ჩემი ვარაუდით, ეს თუ ხდება, იმის გამო, რომ მოლაპარაკება არსებობს და მხარეებს აწყობთ.

– ბატონო პეტრე, გიორგი ვაშაძის „ფენომენზე“ რას იტყვით? თავიდან დიდი შემართებით არეკლამებდნენ სლოგანს: „როგორც ღვინოს თავსახური, ხალხს სჭირდება სამსახური“. მერე ხალხმა ამაზე სიცილი დაიწყო და სასწრაფოდ შეცვალეს.

– (იცინის) კარგია... ნახეთ, რა საინტერესო რამ არის. გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ პრემიერი თვითონ უნდა იყოს.

– ახალგაზრდულ ასაკში ჰილარი კლინტონის მიერ მოწონებული იუსტიციის სახლი გააკეთა და, წარმოიდგინეთ, ახლა რას იზამს ხალხთან ერთადო.

– ჰო, აბა, მაშინ რა გააკეთა! ვერ დათვლი, რამდენი თაღლითობა და ბოროტება იქნა ჩადენილი ვაშაძის მიერ შექმნილი იუსტიციის სახლის გამოყენებით. სხვა რამ არის საინტერესო – გიორგი ვაშაძის საარჩევნო კამპანია აშკარად უხვადაა დაფინანსებული. გლდანში მომიწია ყოფნა და მთელ ქუჩაზე გადაჭიმული ვეებერთელა ბანერები ვნახე.

– გიორგი ვაშაძე ვანო ჩხარტიშვილმა დააფინანსა (ის ხომ ჩხარტიშვილის დისშვილის ქმარია)?

– ნამდვილად არ ვიცი. ბანერებს დიდძალი ფული სჭირდება. ავტობუსი გაივლის, ზედ გიორგი ვაშაძის რეკლამაა. ამასაც დიდძალი ფული სჭირდება. ეს არის ჯამში ასიათასობით დოლარი. ისმის კითხვა: მას, ვინც აფინანსებს, სჯერა, რომ ეს ადამიანი გახდება პრემიერ-მინისტრი, ან, საერთოდ, რამე გახდება? პასუხია, არა. რა თქმა უნდა, ვინც აფინანსებს (ვინც უნდა იყოს, ცალკეული პიროვნება თუ ადამიანთა ჯგუფი), მათ შესანიშნავად იციან, რომ გიორგი ვაშაძე ვერ გაიმარჯვებს.

– მაშინ, ამდენ ფულს რატომ ყრიან?

– საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ფიქრობენ, რომ ეს არის გამფუჭებელი ფიგურა თუ პარტია, სპოილერი (სპოილერი ნიშნავს იმას, როცა ძირითადი პარტია ხედავს, მოწინააღმდეგე პარტიას გარკვეული მრევლი ჰყავს და ცდილობს ხმების წართმევას). მათ კარგად იციან, რომ სააკაშვილს თავისი მრევლი ჰყავს, 13 თუ 14% და თავისი ლოზუნგებით თავის მხარეზე ვერ გადმოიყვანენ, მაგრამ, შეიძლება, შექმნან ისეთი ფიგურა, სააკაშვილის ზოგიერთმა მომხრემ მხარი მას დაუჭიროს.

შემხვედრია ადამიანები, რომლებიც ამბობენ, არა, მიშა უკვე ის მიშა აღარ არის, რაც იყო, აი, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თავი იუსტიციის სახლის შექმნით გამოიჩინა, რაღაც იმედია, ახალი სისხლით რაღაცას იზამსო.

მე ვიცნობ მიშისტებს, რომლებიც მიშას უჭერდნენ მხარს, მაგრამ ამ სიტუაციაში სააკაშვილის იმედი აღარ აქვთ, ამბობენ, ის უკრაინის მოქალაქეა და აღარც უფლება აქვს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყოს, არ შეიძლება, კენჭი იყაროს. კი, მიშამ რაღაცები გააკეთა, მხარს ვუჭერდით, მაგრამ ახლა უკვე არასერიოზულია მისი პრემიერობა და ახლა ვაშაძეა კანდიდატიო, ანუ თუ სააკაშვილს 13% უჭერს მხარს, ეცდებიან, სხვამ წაიღოს და იმ სხვაზე 3-4% მაინც გადავიდეს.

– ანუ ვაშაძე და ბოკერია ნაციონალებს ხმებს ართმევენ?

– ჩანაფიქრი ასეთი შეიძლება იყოს. ყველას კარგად ესმის, რომ ბოკერიასა და მისი პარტიის პირადი რეიტინგი ნულს უახლოვდება. ბოკერიას სახესა და საუბრის მანერას როგორც კი დაინახავენ, რეაქცია მწვავედ უარყოფითია. ამიტომ ბოკერიამ შეიძლება იმდენი ვერაფერი წაართვას სააკაშვილს, რადგან ხალხის ანტიპათია აქვს. როგორც ვიცი, მიშისტები ბოკერიას ხმას არ აძლევენ. სამაგიეროდ, „ოცნების“ ელექტორატის მობილიზაცია ხდება. ვინც არ ფიქრობდა „ოცნებისთვის“ ხმის მიცემას, ბოკერიას რომ უყურებს, ფიქრობს, ვაიმე, სჯობს, მივიდე და „ოცნებას“ ხმა მივცეო. ამიტომ, ჩემი ვარაუდით, ვაშაძე სპოილერს ჰგავს.

– სააკაშვილი ლამის ყოველდღე მთელ საქართველოს „ანებივრებს“ თავისი გამოსვლებით. ამ ფონზე ნაცმოძრაობამ წარადგინა სია, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. პირველ ნომრად მომღერალი კიკაბიძე ჩასვეს. კონკრეტული სლოგანი არ აქვთ, ხალხს ჰპირდებიან გადასახადებისაგან გათავისუფლებას, 400 ლარ პენსიას, ხელფასს 2 ათასი ლარის ოდენობით. სააკაშვილი ამბობს, რომ არავითარ კოალიციას მხარს არ უჭერს და პრემიერ-მინისტრი თვითონ უნდა იყოს. რა შთაბეჭდილება გაქვთ, ნაცმოძრაობა რისთვის არის მზად?

– რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობა, რეალურად, არაფრისთვის მზად არ არის. სააკაშვილს პოლიტიკური ალღო აქვს – ძალის დემონსტრირება, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ, არავითარი კოალიცია არ გვჭირდება, ჩვენ ჩვენ ვართო, ეს სწორედ იმ ელექტორატის მობილიზებას ემსახურება, რომელიც მას რეალურად ჰყავს, რათა ის ხალხი არ გაექცეს.

– ისე, რეალურად, ხომ უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნება?

– ისინი ვერ დაბრუნდებიან, მაგრამ ჩვენ ძალიან მდიდარ ადამიანებზე ვლაპარაკობთ.

„ლუკა უკვე ძირს ეგდო გარდაცვლილი, ბავშვები ახლოს რომ მივიდნენ“

როგორ დაიღუპა მეხუთეკლასელი ბავშვი ქობულეთში

1 ოქტომბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში 11 წლის მოზარდი ტრაქტორზე გამობმულ თოკზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. გარდაცვლილი მეხუთეკლასელი ლუკა სურმანიძე ტყის პირას მეზობლის ბავშვებმა იპოვეს.

„ამბების“ ცნობით, ლუკა სურმანიძის ოჯახი და ახლობლები მკვლელობისა და თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ და ამბობენ, რომ საქმე ბავშვის დაუდევრობით მომხდარ უბედურ შემთხვე-ვასთან გვაქვს.

ბონდო სურმანიძე, დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტი, ქობულეთის მერიის წარმომადგენელი სოფელ ცეცხლაურში:

– ჯერჯერობით გამოძიება არ დასრულებულა, რაიმე დასკვნა რომ გამოვიტანოთ. ფაქტს არც თვითმხილველი ჰყავს, არავინ შესწრებია ამ უბედურებას. ოჯახი და მეზობლები ვარაუდობენ, რომ ბავშვი თამაშ-თამაშით გარდაიცვალა.

თოკი, რომლითაც მოზარდი დაიხრჩო, ტრაქტორზე არ ყოფილა გამობმული, როცა იპოვეს, ყელზე ეკეთა, ბავშვი კი ძირს ეგდო. ქუდის თოკი ყოფილა, იქიდანაა გამოძრობილი, სადღაც 55 სანტიმეტრის. როგორც ჩანს, ბავშვმა ან გამოაბა, ან თამაშ-თამაშში გამოსძვრა და გაიხლართა.

ლუკას ოჯახში არანაირი პრობლემა არ ჰქონია, ნორმალური, ჩამოყალიბებული ოჯახი აქვთ, ბავშვიც ოქრო და ნიჭიერი იყო. ალბათ დაუდევრობით მოუხდა, თორემ, მას რომ მსგავსი მიდრეკილება ჰქონოდა ან ოჯახში ძალადობას ჰქონოდა ადგილი, ეს გამორიცხულია.

პატარა ბავშვები თამაშობდნენ ტყის პირას და მათ აღმოაჩინეს ლუკა – როცა ახლოს მივიდნენ, ბავშვი უკვე ძირს ეგდო გარდაცვლილი, თოკი გამობმული აღარ იყო ტრაქტორზე. ალბათ თამაშში გამოედო და გამოსძვრა ქუდიდან, ან კისერზე ეკეთა და თამაშის დროს გამოედო ტრაქტორს, ზუსტად არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

შემთხვევამდე ერთი საათით ადრე, ლუკა მეც ვნახე, ველოსიპედით დასეირნობდა ახლომახლოს, თამაშობდა. ის ტრაქტორი იქაური მაცხოვრებლისაა და რახანია, იმ ადგილასაა გაჩერებული. მკვლელობა გამორიცხულია, იქ ვერავინ მიიყვანდა, თავისი ველოსიპედითაა მისული. ბავშვის დაუდევრობითაა ეს უბედურება მომხდარი, მეტი არაფერი.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„თამარ ბაჩალიაშვილის მარშრუტი პროკურატურის გასაჯაროებულს საერთოდ არ შეესაბამება“

– ჩვენი მოთხოვნაა, გამოძიებასთან ერთად მოხდეს ჩვენი ექსპერტების ჩართვა და იმ ჩანაწერების შეფასება, რომელიც უნდათ, რომ გამოიყენონ, როგორც თვითმკვლელობისთვის საკმარისი მტკიცებულება.

ამის შესახებ თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა თბილისის პროკურატურასთან განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, საქმის მასალებში არის გარკვეული პირების ჩვენებები, რომელთა საფუძველზეც საჭიროა დამატებით ვიდეოკამერების ჩანაწერების გამოთხოვა და საზოგადოებისთვის ბევრი ახალი დეტალი გახდება ცნობილი.

– გამოძიებამ მიიღო გადაწყვეტილება და თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე დანიშნა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. ჩვენ ვითხოვთ, რადგანაც ფსიქოლოგიური ექსპერტიზა დაინიშნა, მოხდეს გაერთიანება და დაინიშნოს ფსიქოლოგიურ კომისიურ-კომპლექსური, ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და გამოძიებასთან ერთად მოხდეს ჩვენი ექსპერტების ჩართვა. მოხდეს იმ ჩანაწერების შეფასება, რომლებიც უნდათ, რომ გამოიყენონ, თითქოს თვითმკვლელობისთვის საკმარისი მტკიცებულება.

ამ შუამდგომლობას ვაყენებთ და, გარდა ამისა, საქმის მასალებში არის გარკვეული პირების ჩვენებები, რომლების საფუძველზეც დამატებით იქნება ვიდეოკამერებისა და სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გამოთხოვა საჭირო. ბევრი სიახლე იქნება საზოგადოებისთვის ცნობილი. ის მარშრუტი, რომელიც თამარმა განახორციელა საკუთარი ავტომობილით აბსოლუტურად არ შეესაბამება იმ ლოკაციას, რომელიც გაასაჯაროვა პროკურატურამ, – აღნიშნა მიხეილ რამიშვილმა.

პროკურორ ამირან გულუაშვილის განცხადებით, თამარ ბაჩალიაშვილის საქმეში მოიპოვება აუდიო-ვიდეოჩანაწერები, სადაც ის ტყეში თვითმკვლელობით სიცოცხლის დასრულების შესაძლებლობაზე საუბრობს. როგორც მან მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მასალა საკმაოდ მძიმე საყურებელი და მოსასმენია, რაც, მისი შეფასებით, თამარ ბაჩალიაშვილის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ასახავს.

თბილისში პოლიციელს თავს დაესხნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა პოლიციელზე თავდასხმისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ნიკოლოზ მერკვილაძე თბილისში ცხელ კვალზე დააკავეს.

უწყების ცნობით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თბილისში, მოსკოვის გამზირზე თავს დაესხა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს.

გამოძიება პოლიციელზე თავდასხმისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე საქართველოს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პირი, რომელმაც პოლიციელს სამჯერ ესროლა, „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნოდ ხმების მოგროვებაში ეხმარებოდა. ინფორმაციას ოპოზიცია ავრცელებს. უფრო კონკრეტულად, საუბარია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე სამგორში – სოზარ სუბარის საარჩევნო შტაბზე.

ნიკოლოზ მერკვილაძის, იმავე „ჩორნას“ ოჯახის წევრები „მთავარს“ სახლში არ დახვდნენ, თუმცა მისი მეზობლები ამბობენ, რომ მერკვილაძის კრიმინალური ავტორიტეტობის შესახებ არაფერი სმენიათ და არც ის იციან, რითია დაკავებული ის.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით კი „ჩორნა“ უახლოეს მომავალში „კანონიერ ქურდად“ „კურთხევას“ ელოდება. რაც შეეხება მომხდარს – არსებული ინფორმაციით, მას პოლიციელ ვახო მეგრელიშვილთან, რომელსაც ესროლა, წარსულში დაპირისპირება არ ჰქონია.

სოზარ სუბარის საარჩევნო შტაბში კი ბრალდებებს არ პასუხობენ.

სუბარის თანამშრომლებმა ჟურნალისტები ტერიტორიიდან გამოყარეს.

მატანში ოპელი სამარშრუტო ტაქსს შეეჯახა

დაიღუპა 20 წლის მამაკაცი

ახმეტის მუნიციპალიტეტში ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი მძიმედ დაშავდა.

შემთხვევა 4 ოქტომბერს სოფელ მატანში მოხდა. „ოპელის“ მარკის მანქანა საპირისპიროდ მიმავალ სამარშრუტო ტაქსს შეეჯახა.

შედეგად ადგილზე გარდაიცვალა მსუბუქ მანქანაში მჯდომი 20 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცი, ორმა მგზავრმა კი სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

დაშავებულთა შორის ერთი მცირეწლოვანია. ის რეფერალურ საავადმყოფოში მოათავსეს და შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ლაშა ქველაძეს 3.000 ლარი გირაო შეეფარდა, არიფ იუსუპოვს, გოჩა შუბითიძესა და გრიგოლ ჯალაღონიას – 4.000

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტ ლაშა ქველაძეს გირაო 3 ათასი ლარი შეუფარდა, არიფ იუსუპოვს კი – 4 ათას ლარიანი გირაო.

პროკურატურა ორივე ბრალდებულისათვის 5 ათას ლარიანი გირაოს შეფარდებას მოითხოვდა.

ლაშა ქველაძის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის აღკვეთის ღონისძიების გარეშე გათავისუფლებას ითხოვდა.

ლაშა ქველაძეს ბრალი ოფიციალურად ორი – სსკ-ის 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) და 162-ე (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა) პრიმა მუხლებით აქვს წაყენებული.

არიფ იუსუპოვის ადვოკატიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის აღკვეთის ღონისძიების გარეშე გათავისუფლებას ითხოვდა. იუსუპოვს ბრალი სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, კონკრეტული პირის მიმართ განხორციელებული ძალადობის მუხლით აქვს წარდგენილი.

მარნეულში მომხდარი ინციდენტის დროს ჯგუფური ძალადობის ბრალდებით დაკავებულ გიორგი ჯალაღონიასა და გოჩა შუბითიძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, 4-4 ათას ლარიანი გირაო შეეფარდათ.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დევი დევიძემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა 5 ათას ლარიანი გირაოს შეფარდების თაობაზე და ორივეს 4-4 ათასი ლარის გირაოს გადახდა დააკისრა.

ბრალდებულების ადვოკატი კი გირაოს სახით მინიმალურ თანხას 1000-1000 ლარს ითხოვდა.

გოჩა შუბითიძესა და გრიგოლ ჯალაღონიას მარნეულში მომხდარი დაპირისპირების დროს ძალადობის ფაქტებზე აქვთ ბრალი წაყენებული. გოჩა შუბითიძეს პროკურატურამ ბრალდება სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით წარუდგინა, რაც გულისხმობს ძალადობას, ჩადენილს ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ, ხოლო გრიგოლ ჯალაღონიას – სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც ასევე გულისხმობს ძალადობას, ჩადენილს ჯგუფურად.

გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებული 6 არასრულწლოვნის სასამართლო 7 ოქტომბრისთვის გადაიდო

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებული 6 არასრულწლოვნის სასამართლო პროცესი გადაიდო.

აღნიშნულის მიზეზი ერთ-ერთი ბრალდებულის ა.ქ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა, რომელიც სასამართლოში ვერ გამოცხადდა.

სხდომა მცხეთის რაიონულ სასამართლოში 7 ოქტომბერს, 16:00 საათზე გაიმართება. აღნიშნული პროცესი კვლავ ბრალდების მხარის მტკიცებულებებით გაგრძელდება.

რაც შეეხება ბრალდებულების მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემას, აღნიშნულთან დაკავშირებით, ადვოკატები მათ პენიტენციარულ დაწესებულებაში მოინახულებენ და კონსულტაციას გაივლიან.

ცნობისთვის, ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებულ არასრულწლოვნებს ძალადობას, ძალადობის ორგანიზებას, მასში მონაწილეობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებიან.

კანონიერი ქურდი კახა ფარფალია საბურთალოს კერძო სასაფლაოზე დაკრძალეს

გავლენიანი „კანონიერი ქურდი“ კახა ფარფალია შაბათს საბურთალოს კერძო სასაფლაოზე, საქართველოში წამებულ წმინდანთა სახელობის ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

კრიმინალური ავტორიტეტის საფლავი გრანდიოზული თაიგულებით შეამკეს და, თუ წარწერებით ვიმსჯელებთ, სარიტუალო ყვავილების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ მყოფმა ახლობლებმა შეუკვეთეს.

„მთაწმინდის საძმოსგან“, „საყვარელ ძმას ნიკუშასგან“, – ამ და სხვა რუსულენოვანი წარწერებითა და ე.წ. ქურდული სიმბოლიკით იყო გაფორმებული გვირგვინები, რომლებიც კახა ფარფალიას საფლავზე მიიტანეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კანონიერი ქურდი“ კერძო სასაფლაოზე, ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

სასაფლაოს ადმინისტრაციის ინფორმაციით, ტაძრის მახლობლად მსგავსი ადგილი დაახლოებით 15 ათასი დოლარი ჯდება.

„კანონიერი ქურდი“ რუსეთში, ომსკის ციხეში გარდაიცვალა. ციხის ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ გარდაცვალების მიზეზი ინსულტი გახდა, თუმცა, როგორც „პრაიმტაიმს“ ფარფალიას ოჯახის ახლობელი უყვება, „კანონიერი ქურდი“ ძალადობის შედეგად დაიღუპა, რასაც მის სხეულზე არსებული დაზიანებებიც მოწმობს.

უფრო მეტიც, ახლობლის თქმით, გარდაცვალების შესახებ ოჯახს არ შეატყობინეს, ცხედარი დამალეს და შეეცადნენ ძალადობის კვალის წაშლას.

ოჯახმა ამბავი მას შემდეგ შეიტყო, რაც ომსკის ციხეში პატიმარს ამანათით მიაკითხა, ხოლო ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ინფორმაცია გაემჟღავნებინა.

ახლობელმა „პრაიმტაიმს“ მიაწოდა ვიდეოკადრებიც, სადაც ნათლად ჩანს, რომ ცხედარს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აქვს, მათ შორის ფეხების, ტანისა და თავის არეში.

ილჰამ ალიევი: „ჩვენ სომხებს ძალლებივით ვაძევებთ!“

– ფაშინიანი ყოველდღე მსოფლიოს რომელიმე ლიდერს ურეკავს, ყოველდღე! მე კი არავისთვის დამირეკავს. მე მაქვს კონტაქტები და მათ თავად დამირეკეს.

ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა.

მისივე თქმით, მთიან ყარაბაღში შექმნილი მდგომარეობა სომხეთის პრემიერ-მინისტრის პროვოკაციული ქმედებების შედეგია.

– არ დარჩა მსოფლიოში არც ერთი ლიდერი, რომლისთვისაც ფაშინიანს არ დაურეკავს, აგენტი არ გაუგზავნია, არ შევედრებია და არ დაუჩოქებია. მას რომ ნორმალურ ენაზე ესაუბრა, ჩვენი წმინდა ქალაქი არ შეურაცხეყო, რა თქმა უნდა, ვიცხოვრებდით იმ იმედით, რომ ეს საკითხი მოლაპარაკებების გზით მოგვარდებოდა, მაგრამ ყოველი ნაბიჯი პროვოკაცია იყო, ყოველი ნაბიჯი შეურაცხყოფა იყო და ის ფიქრობს, რომ ამას შევეგუებით?!

ახლა ჩვენ ვაჩვენეთ, ვინ ვინ არის. ჩვენ მათ ძაღლებივით ვაძევებთ! აზერბაიჯანელი ჯარისკაცები მათ ძაღლებივით დევნიან! აზერბაიჯანის დროშა აღმართულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე! მათი პოსტები ჩვენს ხელშია! ჩვენ მათ ტანკებს ვმართავთ! მათი სხვა იარაღები ჩვენს ხელშია. მათი სატვირთო მანქანები ჩვენს ხელშია! – აღნიშნა ალიევმა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღის ოკუპაციას ვერასდროს შეეგუება.

– სომხეთის პრემიერ-მინისტრი შუშაში ცეკვავს და ფიქრობს, რომ ჩვენ ამას შევეგუებით? ცდებიან, ამას არასდროს შევეგუებით, – აღნიშნა ალიევმა.

ფაშინიანი: „ყველანი ჯარში! სომხეთს გენოციდი გვემუქრება!“

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში დემობილიზებულ ჯარისკაცებს მოუწოდა, სამხედრო სამსახურს დაუბრუნდნენ.

ამის შესახებ პრემიერმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დაწერა.

მისი თქმით, ქვეყნის სამსახურს უნდა დაუბრუნდეს ყველა ის პირი, ვინც ბრძოლისუნარიანია.

„მათ, ვინც შეინახა თავისი სამხედრო ფორმა, მოვუწოდებთ, კვლავ გამოცხადდნენ ფორმითა და დოკუმენტებით. დღესდღეობით ჩვენ ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვართ და, თუ ყველა ერთად არ დავდგებით, გენოციდის მსხვერპლნი გავხდებით“, – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

ბელარუსში 317 დემონსტრანტი დააკავეს

ბელარუსმა სამართალდამცავებმა 4 ოქტომბერს მინსკში გამართული საპროტესტო აქციის დროს 317 დემონსტრანტი დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ბელარუსის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

4 ოქტომბერს მინსკის ცენტრში ათასობით ადამიანი პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით გამოვიდა. სამართალდამცველებმა მათ წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენეს.

შეგახსენებთ, ბელარუსში საპროტესტო აქციები 9 აგვისტოს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არ წყდება. საზოგადოების ნაწილი არჩევნების ოფიციალურ შედეგებს არ ცნობს და ალექსანდრე ლუკაშენკოს გადადგომას მოითხოვს. სამართალდამცავებმა საპროტესტო აქციები ძალის გამოყენებით არაერთხელ დაშალეს და ათასობით ადამიანი დააკავეს.

ტრამპი ქუჩაში გავიდა და ხალხს მიესალმა

აშშ-ის კოვიდინფიცირებულმა პრეზიდენტმა საავადმყოფო ცოტა ხნით დატოვა, რომ გარეთ შეკრებილ მხარდამჭერებს მისალმებოდა.

დონალდ ტრამპი ქუჩაში ავტომობილით გავიდა.

პრეზიდენტის მოულოდნელი გასეირნება კლინიკის ექიმმა მკაცრად გააკრიტიკა.

„იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტის ავტომობილი არა მხოლოდ ტყვიაგამძლეა, არამედ ქიმიურ თავდასხმასაც უძლებს, მანქანაში კოვიდ-19-ის გავრცელების შანსი ძალიან მაღალია“, – დაწერა ტვიტერზე ექიმმა ჯეიმს ფილიპსმა.

მისივე თქმით, ყველა, ვინც ტრამპთან ერთად ავტომობილში იჯდა, 14-დღიან კარანტინში უნდა მოათავსონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტიპენდია შიო აბრახამიას გადაეცა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით დაარსებული ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტიპენდიის მფლობელი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი, დირიჟორი და მუსიკოლოგი შიო აბრახამია გახდა.

შიო აბრახამიას ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტიპენდიატობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა პირადად მიულოცა.

– მსურს, მთელი გულით მივულოცო შიო აბრახამიას ანზორ ერქომაიშვილის სახელობის კონკურსის სტიპენდიატობა. ეს კონკურსი ბატონი ანზორის უდიდესი დამსახურების აღსანიშნავად, სწორედ ჩვენი სამინისტროს ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაფუძდა. ბატონი შიო მუსიკის კვლევის დარგში პირველი დოქტორანტია, რომელსაც ეს პრიზი გადაეცა. ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის კვლევა მართლაც რომ საშვილიშვილო საქმეა. მინდა, წარმატება ვუსურვო ბატონ შიოს საქმიანობაში და დიდი იმედი მაქვს, რომ იგი ღირსეულად ატარებს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტიპენდიატის სახელს, – განაცხადა მინისტრმა.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტიპენდიის დაარსების ინიციატივა მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა 10 აგვისტოს ოზურგეთში მომღერლის, ლოტბარის, კომპოზიტორის, მსოფლიოს სხვადასხვა არქივში მიმობნეული ქართული სიმღერების ჩანაწერების მომძიებლისა და გამომცემლის, ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებლის, ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის საიუბილეო ღონისძიებაზე გააჟღერა.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტიპენდია ტრადიციული მუსიკის კვლევის დარგში საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტს გადაეცემა.

სტიპენდიის მიმნიჭებელმა კომისიამ გამარჯვებული რამდენიმე დღის წინ გამოავლინა. შიო აბრახამია 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებს სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით.

ერისთავის თეატრმა ახალი სეზონი უფლისციხეში გახსნა

გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა ახალი, 176-ე სეზონი ღია ცის ქვეშ უფლისციხეში გახსნა.

ერისთავის თეატრმა ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში წარმოადგინა პრემიერა „იესოს საქმე“. ლაშა იმედაშვილის ამავე სახელწოდების ნაწარმოები რეჟისორმა მამუკა ტყემალაძემ დადგა. პრემიერამ, რომელიც ხელოვანმა შვილს, ნუციკოს მიუძღვნა, სრული ანშლაგით ჩაიარა. სპექტაკლში მონაწილეობენ კახა ბერიძე და ზაზა ცარულაშვილი.

15 ლარად შეძენილი ბილეთის საფასურში ასევე შევიდა მაყურებელთა მგზავრობა და გიდთან ერთად უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის დათვალიერება.

„ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ 16 ენაზე ითარგმნა

ქართული ხალხური პოეზიის ნამდვილი შედევრი „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ 16 ენაზე ითარგმნა.

ინფორმაცია პოეტმა ნომადი ბართაიამ გაავრცელა:

– ოცნებად ქმნდა ქცეული, ქართული ხალხური პოეზიის შედევრი „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ მეხილა მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე თარგმნილი და ერთ კრებულში მოქცეული. აი, ამიხდა ოცნებაც. ხელთ მაქვს მსოფლიო ზეპირსიტყვიერების ეს უბადლო ნიმუში დედნიანად 17 ენაზე.

მადლობა მთარგმნელებს: მიხეილ ნიშნიანიძეს (ინგლისურად), ანი ჩიქოვანს (ახალბეძნულად), რაულ ჩილაჩავას (უკრაინულად), ნომადი ბართაიასა და საიდ მულიანის (სპარსულად), ზაირა დავარაშვილს (ებრაულად), ლუიჯი მაგაროტოს (იტალიურად), იასუჰირი კოჯიმას (იაპონურად), ლია ლორიას, ხოსე ბენიტო ფრეიხანეს მარტინესს (ესპანურად), ნანა კაჭარავას (თურქულად), ნინო ეჯიბაძეს (არაბულად), ნინო ბრეგვაძეს, ივდით ნარსიძეს, ოთარ ჭიღლაძეს (ჩინურად), კახა ჩინჩალაძეს (ინდურად), ოკტაი კაზუმოვს (აზერბაიჯანულად), მზექალა აჭაიძეს, ეკა რაისნერს (გერმანულად), ეკატერინე გაჩეჩილაძეს (ფრანგულად) და ნინო სპანდერაშვილს (სომხურად), რომლებმაც გულთბილად მიიღეს ჩემი წინადადება და თარგმნეს ბალადა. რაც შეეხება რუსულ თარგმანს, ვისარგებლეთ იან გოლცმანის არსებული თარგმანით.

პროექტის ავტორი და შემდგენელი გახლავთ თქვენი მონა-მორჩილი ნომადი ბართაია, რედაქტორი – მაყვალა გონაშვილი. დიდი მადლობა მას წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში გაწეული გარჯისთვის, მხატვარი – ნუგზარ მგალობლიშვილი.

დიდი მადლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, რომლის მხარდაჭერითაც დაიბეჭდა ეს კრებული.

წიგნები დაურიგდება საქართველოში არსებულ საელჩოებს.

იმედია, ინტერესით გაეცნობიან ქართველთა ზეჰუმანურ ბუნებას მსოფლიოს ხალხები. იგულისხმება, მოყმის დედა სამძიმარზე რომ მიდის ვეფხვის დედასთან, რომელთა შვილებმა ბრძოლაში ერთმანეთი დახოცეს.

იქნებ ეს ბალადა გაეროსთვის გამოიცეს ცალკე, ამ ორგანიზაციის სამუშაო ენებზე.

ჩვენი გადარჩენა ჩვენი ეროვნული ფასეულობების დაცვასა და წარმოჩენაშია, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნაპოლი ტურინში არ ჩავიდა და ტექნიკური მარცხი ემუქრება

სერია ა-ს მე-3 ტურის მატჩი იუვენტუსსა და ნაპოლის შორის არ გაიმართა. ტურინელები მოედანზე გავიდნენ, ანდრეა პირლომ ძირითადი შემადგენლობაც გამოაქვეყნა, მაგრამ ნაპოლი ტურინში საერთოდ არ ჩასულა.

ნაპოლის 2 ფეხბურთელს, პიოტრ ზილინსკისა და ელიფ ელმასს, კორონავირუსი დაუდასტურდათ. როგორც იტალიური მედია იტყობინება, ნეაპოლელთა ქალაქიდან გაშვება ჯანდაცვის ორგანიზაციამ დაბლოკა და გუნდი კარანტინში იმყოფება.

არადა, სერია ა-ში არსებული პროტოკოლით, გუნდი ვალდებულია, ითამაშოს, თუ 10-ზე მეტი ინფიცირებული მოთამაშე არ ჰყავს და შეუძლია, მინიმუმ 13 ფეხბურთელის (მათ შორის, 1 მეკარის) შეგროვება. შედარებისთვის: მილანს, ატალანტასა და ტორინოს ასევე ჰყავთ ინფიცირებული ფეხბურთელები, მაგრამ ეს გუნდები ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ სეზონს და პრობლემაც არ შექმნილა. კორონავირუსის გამო იტალიაში ჯერჯერობით ერთადერთი მატჩი გადაიდო – ჯენოა-ტორინო, რადგან გენუელებს 19 ინფიცირებული ფეხბურთელი ჰყავთ.

ტურინელთა პრეზიდენტმა ანდრეა ანიელიმ აღნიშნა, რომ მისი გუნდი წესებს იცავს, მიუხედავად იმისა, რომ ნეაპოლელი კოლეგა აურელიო დე ლაურენტისი თამაშის გადადებას სთხოვდა.

ანდრეა ანიელი:

– აურელიო დე ლაურენტისის მოთხოვნა გასაგებია, მაგრამ ყოველი ჩვენგანი ვალდებულია, პროტოკოლს ზედმიწევნით გაუყვეს. თუ ჩვენ არ დავიცავთ წესებს, გამოდის, რომ საზოგადოებას პატივს არ ვცემთ და კლუბების პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ ვაყენებთ, რაც პირდაპირ მოქმედებს ორგანიზაციის იმიჯზე. სერია ა-ს მიერ დამოწმებული რეგლამენტიდან გამომდინარე, მატჩი არ გადაიდება იმ შემთხვევაში, თუ კოვიდ 19-ის ტესტი მატჩის დღეს თუნდაც 2 ფეხბურთელს დაუფიქსირდება. წესებში ყველაფერი გარკვევით არის გაწერილი და მას ზედმიწევნით მივუყვებით.

დიახ, ჩვენთანაც დაფიქსირდა 2 შემთხვევა, თუმცა კლუბმა ყველა საჭირო ღონისძიება გაატარა და თვითიზოლაციაში მოექცა, ხოლო შემდეგ მატჩისთვის სრულად მზად იყო. სიმართლე გითხრათ, არ მჯერა, რომ იტალიის ჯანდაცვის სამინისტრომ ნაპოლის ქალაქის დატოვება აუკრძალა. საერთოდაც, თუ კლუბი ითვალისწინებს სერია ა-ს პროტოკოლს, მაშინ, უმჯობესი იქნება, თუ ისინი ამ თემაში არ ჩაერევიან. უნდა შეიცვალოს თუ არა პროტოკოლი? ამ კითხვით თქვენ ახლა არასწორ ადამიანს მიმართეთ.

რა ბედი ეწევა იუვენტუსისა და ნაპოლის შეხვედრას, ჯერჯერობით უცნობია. არსებობს 2 ვარიანტი – ან გადაიდება, ან ნეაპოლელებს ტექნიკური წაგება ჩაეთვლებათ. ჯერჯერობით 0:3 უფრო რეალური ჩანს.

პრემიერლიგას ფინანსები დაუთვალეს

პრემიერლიგის კლუბებს უზარმაზარი ფინანსური რესურსი რომ აქვთ, ცნობილი ფაქტია. ამისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ თითქმის ყველა მათგანს ძალიან მდიდარი მფლობელი ჰყავს. თუმცა კლუბის მფლობელები თავიანთი ფინანსური მოტივაციებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგალითად, რუს მილიარდერ რომან აბრამოვიჩისთვის ლონდონის ჩელსი ჰობია, საყვარელი საქმე, რომელსაც დიდძალ რესურსს ახარჯავს და მისგან ფინანსურ მოგებას არ ელის. ამაზე მეტყველებენ ციფრებიც: ბოლო 5 წელში აბრამოვიჩმა კლუბში 440 მილიონი გირვანქა სტერლინგით უფრო მეტი ჩადო, ვიდრე უკან ამოიღო. ეს მაჩვენებელი მეტია, ვიდრე პრემიერლიგის ნებისმიერი კლუბის მფლობელის. ერთ-ერთმა შვეიცარიულმა გამოცემამ, რომელიც ძირითადად საფეხბურთო ბიზნესსა და ფინანსებს სწავლობს, დაითვალა პრემიერლიგის ყველა კლუბის მფლობელის კლუბში ჩადებული და უკან ამოღებული თანხა. მონაცემების მიხედვით, ბოლო 5 წელში პრემიერლიგის 20 გუნდიდან 12-ის მფლობელმა კლუბში უფრო მეტი თანხა ჩადო, ვიდრე

გაგრძელება მე-7 გვერდზე

პრემიერლიგას ფინანსები დაუთვალეს

დასაწყისი მე-6 გვერდზე

უკან ამოიღო. მათ შორის, ზემოთ ნახსენები ჩელსის გარდა, მანჩესტერ სიტი და ლივერპული არიან. არსენალის ხელმძღვანელობამ ზუსტად იმდენივე ამოიღო, რამდენიც ჩადო, ხოლო დარჩენილი 7 კლუბის მფლობელებმა კლუბიდან უფრო მეტი აიღეს, ვიდრე თავად მისცეს. როგორც ირკვევა, მანჩესტერ იუნაიტედიდან გლეიზერებმა კლუბიდან 89 მილიონი გირვანქით (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი) მეტი ამოიღეს, ვიდრე თავად ჩადეს. მათ მოჰყვებიან ტოტენჰემის მფლობელები (40) და ნიუკასლის მეპატრონე მაიკ ეშლი (18).

საინტერესო მონაცემებია კლუბების მხრიდან აღებული და დაფარული სესხების თანხების შედარებისასაც. ბოლო 5 წელში ყველაზე მეტი – 561 მილიონი ტოტენჰემმა ისესხა, რაც ახალი სტადიონის მშენებლობით იყო განპირობებული. ყველაზე მეტი თანხა სესხების დაფარვაში არსენალმა გაიღო. მათ ბოლო 5 წელში 101 მილიონით მეტი გაიღეს სესხების დაფარვაში, ვიდრე აიღეს, რაც ლოგიკურია, რადგან ისინი ჯერ კიდევ ისტუმრებდნენ „ემირეიტსის“ მშენებლობის ხარჯებს. საინტერესოა, რომ არსენალის შემდეგ ვალების დასაფარად ყველაზე დიდ თანხას იუნაიტედი იღებს. ცხადია, როცა საქმე ტრანსფერებში დახარჯულ თანხებზე მიდგება, ოლე გუნარ სოლსკიაერის გუნდი აქაც ერთ-ერთი მოწინავეა. „წითელი ეშმაკები“ ბოლო 4 სატრანსფერო ფანჯარაზე დახარჯული თანხებით მხოლოდ ჩელსის ჩამორჩებიან.

მანჩესტერისა და ლივერპულის სირცხვილი

მანჩესტერ იუნაიტედი „ოლდ ტრეფორდზე“ შერცხვა. ოლე გუნარ სოლსკიაერის გუნდი საკუთარ მოედანზე 1:6 განადგურდა ტოტენჰემთან. ასე ცუდად გუნდმა ბოლოს როდის ითამაშა, გულშემატკივრები ვერ იხსენებენ.

ბრიტანეთში მანჩესტერის წაგებაზე უკვე დაცინვა დაიწყეს: მანჩესტერელთა დაცვის შეცდომები კლიპად უნდა აკინძო და ბენი ჰილის საუნდტრეკი დაადოო.

იუნაიტედის ფანებს გუნება შეიძლება მხოლოდ მესისა და რონალდუს

წყვილად ყიდვამ გამოუკეთოს, თორემ სხვა მხრივ არაფერი ეშველებათო;

მაყურებელი ხომ არ ესწრებოდა და არ ესწრებოდა, მაგრამ ასეთი იუნაიტედის შემყურე ტრიბუნებზე მიხატული ფანებიც გაქცევაზე იყვნენო;

ბოლო დროს ედინსონ კავანის დამატებაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ, თუ უყურა, მის მომავალ გუნდს რა დაემართა, შეიძლება, პირდაპირ კარიერის დამთავრება გამოაცხადოსო;

მოკლედ, ვისაც არ დაეზარა, ყველა მანჩესტერზე ხუმრობდა. ტოტენჰემელთა თავკაცმა ჟოზე მოურინიომ კი მანჩესტერსაც დასცინა და იმ ხალხსაც ირონიულად უპასუხა, ვინც დაცვითი სტილის მწვრთნელს უწოდებს.

ჟოზე მოურინიო:

– წარმოიდგინეთ, ტოტენჰემს რომ შეტევის მოყვარული მწვრთნელი ჰყოლოდა. დაცვითი მწვრთნელის ხელში მათ 6 გოლი გაიტანეს, შემტევ მწვრთნელთან, ალბათ, 12-ს გაიტანდნენ.

არანაკლები სირცხვილი ჭამა ლივერპულმა, ხოლო ბირმინგემის ასტონ ვილამ საფეხბურთო სამყარო გააოცა და ინგლისის მოქმედ ჩემპიონს 7:2 მოუგო. ამ ანგარიშით მარცხი პრემიერლიგის 67-წლიანი ანტირეკორდის გამეორების წინაპირობა გახდა.

ლივერპული ბოლო 67 წელიწადში ინგლისის პირველი ჩემპიონია, რომელმაც შემდეგი სეზონის ერთ-ერთ მატჩში 7 გოლი გაუშვა. ასეთი რამ ბოლოს არსენალს დაემართა, რომელმაც 1953 წლის სექტემბერში მოქმედი ჩემპიონის რანგში სანდერლენდთან 1:7 წააგო. აღსანიშნავია, რომ ლივერპულმა ერთ მატჩში 7 გოლი 1963 წლის შემდეგ პირველად გაუშვა. მაშინ გუნდი ტოტენჰემთან ასევე 2:7 დამარცხდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ერთდროულად ლივერპულმა და მანჩესტერმა პრემიერლიგის ერთ ტურში მინიმუმ 6-6 გოლი ისტორიაში პირველად გაუშვეს.

ზოგადად, ინგლისის უმაღლესი ლიგის მიმდინარე სეზონი ჯერჯერობით ძალიან შედეგიანია. ჩატარებულ 38 მატჩში 144 გოლი გავიდა, ტურნირის ამ ეტაპზე ასეთი შედეგიანობა 1930-31 წლების სეზონის შემდეგ არ დფიქსირებულა.

იმერული დერბი ფრედ დასრულდა

ჩიხუა-ტოჰპედო 2:2
თბილისი. მიხეილ მესხი
1:0 ჯახაბიშვილი (5), 2:0 ჯიჯაბიძე (22), 2:1 ფანცულაია (36), პონომარი (44)

ჩიხურა: ბეგაშვილი, მაჩაიძე, კაშია, ჯაფიაშვილი, კორიფაძე, ჯავაშვილი, კახაბრიშვილი, კიკაბიძე, ბერეზოვი (გვაზავა 75), დეკანოიძე (მუჯირი 70), ბუხაიძე (ჯიგკაევი 61)

ტორპედო: შოვნაძე, ტაბატაძე (შარვაშიძე 68), ნადარაია, გრიგალაშვილი, ადამაძე, გიორგაძე, ძარია, მამასახლისი (მარკოვიჩი 35), პონომარი (იონანიძე 77), ციცქიშვილი, ფანცულაია

იმერული დერბი თბილისში გაიმართა და საჩხერის ჩიხურამ მნიშვნელოვანი 3 ქულის მოპოვების კარგი შანსი ხელიდან გაუშვა.

ვახტანგ თურმანიძის გუნდმა ქუთაისის ტორპედოსთან გამართული დაპირისპირება ძალიან კარგად დაიწყო. საჩხერელებმა ანგარიში მე-5 წუთზე კახა კახაბრიშვილის მიერ გატანილი გოლით გახსნეს. 22-ე წუთზე კი ლუკა კიკაბიძემ სხვაობა ორამდეც გაზარდა. ანგარიშში არსებული უპირატესობა პირდაპირპროპორციული იყო მოედანზე არსებულ სათამაშო ვითარებასთან. მასპინძლებმა, გოლების გარდა, კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, რომელთა რეალიზებაც ვერ მოახერხეს და დაისაჯნენ...

36-ე წუთზე გიორგი ფანცულაიამ ისარგებლა ჩიხურას მცველის უხეში შეცდომით და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თამაშიც თვისობრივად შეიცვალა. გატანილი გოლით მოტივირებულმა ქუთაისელებმა საჩხერელთა კარი კიდევ ერთხელ აიღეს – ტაიმის მიწურულს ვიტალი პონომარმა ანგარიში გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. ორივე გუნდმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია. თამაშის ბოლოს უფრო მეტად მასპინძლები გააქტიურდნენ. ბოლო წუთებზე ჩიხურამ ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში ქუთაისში გამართული შეხვედრაც ანალოგიური სცენარით წარიმართა. ჩიხურა მაშინაც 2:0 დაწინაურდა და თამაში 2:2 დამთავრდა...

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო(თბ)	12	6	5	1	22-10	23
2.დინამო(თბ)	11	6	4	1	19-5	22
3.საბურთალო	11	5	5	1	19-9	20
4.დილა	12	5	5	2	17-8	20
5.ლოკომოტივი	12	5	4	3	19-15	19
6.თელავი	12	2	8	2	10-9	14
7.ტორპედო	12	3	4	5	12-19	13
8.სამტრედია	12	3	3	6	9-18	12
9.ჩიხურა	12	1	3	8	12-30	6
10.მერანი	12	0	5	7	4-20	5

შედეგები

4 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-ვესტჰემი 0:3
საუთჰემპტონი-ვესტბრომვიჩი 2:0
არსენალი-შეფილდი 2:1
ვულვზი-ფულემი 1:0
მანჩესტერი-ტოტენჰემი 1:6
ასტონ ვილა-ლივერპული 7:2

სატუნირო ცხრილი:

1.ევერტონი	4	4	0	0	12-5	12
2.ასტონ ვილა	3	3	0	0	11-2	9
3.ლესტერი	4	3	0	1	12-7	9
4.არსენალი	4	3	0	1	8-5	9
5.ლივერპული	4	3	0	1	11-11	9
6.ტოტენჰემი	4	2	1	1	12-5	7
7.ჩელსი	4	2	1	1	10-6	7
8.ლიდსი	4	2	1	1	9-8	7
9.ნიუკასლი	4	2	1	1	6-5	7
10.ვესტ ჰემი	4	2	0	2	8-4	6
11.საუთჰემპტონი	4	2	0	2	5-6	6
12.კრ.პალასი	4	2	0	2	5-7	6
13.ვულვზი	4	2	0	2	4-7	6
14.სიტი	3	1	1	1	6-7	4
15.მანჩესტერი	3	1	0	2	5-11	3
16.ბრაიტონი	4	1	0	3	8-10	3
17.ვესტ ბრომვიჩი	4	0	1	3	5-13	1
18.შეფილდი	4	0	0	4	1-6	0
19.ბარნლი	3	0	0	3	3-8	0
20.ფულემი	4	0	0	3	3-11	0

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბრენტფორდი-პრესტონი 2:4
სტოკი-ბირმინგემი 1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-აუგსბურგი 0:0
ბაიერნი-ჰერტა 4:3

სატუნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	3	2	1	0	8-2	7
2.აუგსბურგი	3	2	1	0	5-1	7
3.აინტრახტი	3	2	1	0	6-3	7
4.ბაიერნი	3	2	0	1	13-7	6
5.დორტმუნდი	3	2	0	1	7-2	6
6.ჰოფენჰაიმი	3	2	0	1	8-5	6
7.ვერდერი	3	2	0	1	5-5	6
8.შტუტგარტი	3	1	1	1	7-5	4
9.უნიონი	3	1	1	1	6-4	4
10.არმინია	3	1	1	1	2-2	4
11.გლადბახი	3	1	1	1	4-5	4
12.ფრაიბურგი	3	1	1	1	4-7	4
13.ჰერტა	3	1	0	2	8-8	3
14.ლევერკუზენი	3	0	3	0	2-2	3
15.ვოლფსბურგი	3	0	3	0	1-1	3
16.კიოლნი	3	0	0	3	3-7	0
17.მაინცი	3	0	0	3	2-11	0
18.შალკე	3	0	0	3	1-15	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ვიურცბურგერი-ფიურტი 2:2
კილი-ფორტუნა 2:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-სელტა 2:0
ალავესი-ბილბაო 1:0
ლევანტე-რეალი 0:2
კადისი-გრანადა 1:1
ბარსელონა-სევილია 1:1

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	4	3	1	0	6-2	10
2.ბეტისი	5	3	0	2	7-6	9
3.სოსიედადი	5	2	2	1	7-2	8
4.ვილიარეალი	5	2	2	1	6-7	8
5.გრანადა	5	2	2	1	7-9	8
6.ბარსელონა	3	2	1	0	8-1	7
7.სევილია	3	2	1	0	5-2	7
8.ხეტაფე	4	2	1	1	4-3	7
9.ვალენსია	5	2	1	2	7-7	7
10.კადისი	5	2	1	2	5-6	7
11.ოსასუნა	4	2	0	2	5-4	6
12.ატლეტიკო	3	1	2	0	6-1	5
13.სელტა	5	1	2	2	3-7	5
14.ეიბარი	5	1	1	3	4-6	4
15.უესკა	5	0	4	1	2-4	4
16.ელჩე	3	1	1	1	1-3	4
17.ალავესი	5	1	1	3	3-6	4
18.ლევანტე	4	1	0	3	5-8	3
19.ბილბაო	4	1	0	3	2-5	3
20.ვალიადოლიდი	5	0	2	3	3-7	2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-ფუენლაბრადა 0:1
საბადელი-ესპანიოლი 0:1
ალმერია-ხიხონი 0:1
კასტელონი-ლეგანესი 2:0
კარტახენა-ლუგო 2:1

იტალია. სერია ა

ატალანტა-კალიარი 5:2
ბენევენტო-ბოლონია 1:0
ლაციო-ინტერი 1:1
პარმა-ვერონა 1:0
მილანი-სპეცია 3:0

სატუნირო ცხრილი:

1.ატალანტა	3	3	0	0	13-5	9
2.მილანი	3	3	0	0	7-0	9
3.სასუოლო	3	2	1	0	9-3	7
4.ინტერი	3	2	1	0	10-6	7
5.ნაპოლი	2	2	0	0	8-0	6
6.ვერონა	3	2	0	1	4-1	6
7.ბენევენტო	3	2	0	1	6-7	6
8.იუვენტუსი	2	1	1	0	5-2	4
9.ლაციო	3	1	1	1	4-5	4
10.რომა	3	1	1	1	3-5	4
11.ბოლონია	3	1	0	2	4-4	3
12.ფიორენტინა	3	1	0	2	5-6	3
13.სპეცია	3	1	0	2	3-7	3
14.ჯენოა	2	1	0	1	4-7	3
15.სამპდორია	3	1	0	2	4-7	3
16.კალიარი	3	0	1	2	3-8	1
17.ტორინო	2	0	0	2	2-5	0
18.უდინეზე	3	0	0	3	0-4	0
19.პარმა	3	1	0	2	2-6	3
20.კროტონე	3	0	0	3	2-10	0

იტალია. სერია ბ

პიზა-კრემონეზე 1:1
ჩიტადელა-ბრეშა 3:0
საფრანგეთი.ლიგა 1
მონპელიე-ნიმი 0:1
ბორდო-დიჟონი 3:0
ბრესტი-მონაკო 1:0
მეცი-ლორიანი 3:1
სტრასბური-ლილი 0:3
რენი-რეიმსი 2:2
ლიონი-მარსელი 1:1

სატუნირო ცხრილი:

1.რენი	6	4	2	0	14-7	14
2.ლილი	6	4	2	0	9-2	14
3.ლანი	6	4	1	1	10-6	13
4.პსჟ	6	4	0	2	12-3	12
5.მონპელიე	6	3	1	2	12-8	10
6.მონაკო	6	3	1	2	9-8	10
7.სტ.ეტიენი	6	3	1	2	8-7	10
8.ნიცა	6	3	1	2	7-8	10
9.ბორდო	6	2	3	1	6-2	9
10.მარსელი	6	2	3	1	7-7	9
11.ბრესტი	6	3	0	3	10-12	9
12.ანჟე	6	3	0	3	7-14	9
13.ნიმი	6	2	2	2	9-7	8
14.ლიონი	6	1	4	1	7-5	7
15.მეცი	6	2	1	3	6-6	7
16.ნანტი	6	1	2	3	6-9	5
17.ლორიანი	6	1	1	4	9-13	4
18.სტრასბური	6	1	0	5	4-13	3
19.რეიმსი	6	0	2	4	5-10	2
20.დიჟონი	6	0	1	5	3-13	1

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-აიაქსი 1:0
ტილბურგი-ფეინოორდი 1:4
სპარტა-ალკმაარი 4:4
პსვ-სიტარდი 2:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ნასიონალი-ბელენენსეში 0:0
ბენფიკა-ფარენსე 3:2
ფამილიკაო-რიუ ავე 1:1
პორტიმორენშე-სპორტინგი 0:2

ხუთეთი. პრემიერლიგა

ლოკომოტივი-ხიმკი 2:1
რუბინი-ახმატი 1:1
რუბინის გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა
სოჭი-როსტოვი 4:2
დინამო-კრასნოდარი 2:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-ლუცერნი 3:2
სტ.გალენი-სერვეტი 1:0
იანგ ..... ბოზი-ვადუცი 1:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.ჯონსონი-სელტიკი 0:2
რეინჯერსი-როსი 2:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-ჰარტბერგი 7:1
შტურმი-ალტახი 4:0
შტურმის მესამე გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა
რაპიდი-ლინცერი 3:0

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-ანდერლეხტი 3:0
გენტი-ბეერსხოტი 5:1
შარლერუა-სტანდარდი 1:2
ოსტენდე-მუსკრონი 3:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანათინაიკოსი-არისი 0:1
აპოლონი-ლარისა 1:0
პაოკი-ოფი 3:0
იანინა-ოლიმპიკოსი 1:1
ატრომიტოსი-აეკი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

დენიზლი-ქონია 0:0
ალანია-ჰატაი 6:0
ბეშიქთაში-გენჩლერი 0:1
ქაშიმფაშა-გალათასარაი 1:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-ზლინი 2:0
სიგმა-პლზენი 2:2
ლიბერეცი-პრჟიბრჟამი 3:0
ბანიკი-სლავია 0:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პიასტი-ლეხი 1:4
ლეხის მე-4 გოლი ნიკა კაჭარავამ გაიტანა

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლიმპიკი-ოლეკსანდრია 3:2
დესნა-შახტარი 2:2
დინამო-ზორია 1:1
კოლოსი-მარიუპოლი 1:0

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-სონდერიისკე 2:2
ოდენსე-ვაილე 0:1
ოლბორგი-ორხუსი 1:1
ჰორსენსი-მიდტიულანდი 2:2
კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი 3:2

შვედეთი. ალსვენსკა

მილაბი-ჰელსინბორგი 3:2
ჰამარბი-დიურგარდენი 1:1
ესტერსუნდი-აიკი 1:2
გიოტებორგი-ვარბერგი 1:0
კალმარი-მალმიო 0:4
ნორჩიოპინგი-სირიუსი 1:2

ნორვეგია. ეროვნული

ბრანი-მიოლდე 1:2
ბოდო გლიმტი-სანდერფიორდი 2:1
ვიკინგი-სტრომგოდსეტი 2:2
ალესუნდი-კრისტიანსუნდი 1:2
სტარტი-ჰაუგესუნდი 5:1
რუსენბორგი-ოდ ..... გრელანდი 4:1

ჩოგბურთი

ოლიან გაოსი

კაცები

კოდრა-ნადალი 1:6, 1:6, 2:6
ზვერევი-სინერი 3:6, 3:6, 6:4, 3:6
გასტონი-ტიმი 4:6, 4:6, 7:5, 6:3, 3:6
სონეგო-შვარცმანი 1:6, 3:6, 4:6

ქალები

ტრევიზანი-ბერტენსი 6:4, 6:4
ჰალეპი-სვიატეკი 1:6, 2:6
პოდოროსკა-კრეიჩიკოვა 2:6, 6:2, 6:3
სვიტოლინა-გარსია 6:1, 6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 2. ბაბილონის მეფე, პირველი კანონების შემქმნელი; 3. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 4. მომაბეზრებელი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი; 5. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 8. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 13. ჭარხლიდან შაქრის მიმღები აპარატი; 14. მთიანეთი აზიაში; 16. წმინდა ოქრო; 18. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 20. რძის პროდუქტი.

თარაზულად: 6. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 7. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 8. გარდაუვალი ბედისწერა; 9. მე-19 საუკუნის ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე; 10. უღელტეხილი კავკასიონზე; 11. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. მოგონილი, შეთხზული რამე; 19. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 21. საქართველოს ეროვნული გმირი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციების შესახებ; 23. წითელ ღვინოში ჩამბალი პურისგან მომზადებული შეჭამანდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰამერი; 2. რალი; 3. არბიტრაჟი; 4. ანაშა; 8. ვადუცი; 5. ყინვალი; 9. ბალახვანი; 12. გელათი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

თარაზულად: 1. ჰიპოკრატე; 6. კრიჟანგი; 7. მაყვალი; 9. ბრაილი; 10. იავა; 11. სუფრული; 13. დათვი; 15. ლენინი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ლიახვი; 20. დარიალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუკლეტი; 2. ტალავარი; 3. ნობათი; 4. გოქჩა; 5. ნიკოლაძე; 8. კარაკასი; 12. არქი; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. სიმეონე; 18. ბრერა; 20. დუმა.

თარაზულად: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კახასა; 9. ფეოლა; 10. პარალიზი; 11. ბუზალაძე; 15. ბრიჯსტოუნი; 17. მიზანი; 19. ბაღდავაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. კავსაძე.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 3.1975	ევრო — 3.7475
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1299	100 რუსული რუბლი — 4.0725

ამინდის პროგნოზი 6 ოქტომბრისათვის

გუჯა ბურდული თიანეთის საპატიო მოქალაქეა

მსახიობ გუჯა ბურდულს, რომელიც მთელ საქართველოს გამორჩეულად უყვარს, თიანეთის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. ინფორმაცია გუჯა ბურდულის შვილმა, რეჟისორმა მაკა ბურდულმა გაავრცელა:

– მამა, გილოცავ თიანეთის საპატიო მოქალაქის წოდებას.

თათია ახალაია დოლჩე და გაბანას ჩვენებაზე გამოვიდა

ქართველი მოდელი თათია ახალაია დოლჩე და გაბანას 2021 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის ჩვენებაზე გამოვიდა.

ქართველმა ღამაზმანმა პოდიუმზე ცნობილ მოდელებთან ერთად გაიარა და მილანის მოდის კვირეულის ფარგლებში მსოფლიოში აღიარებული დიზაინერების მიერ შექმნილი უახლესი კოლექციის კოსტიუმები წარმოადგინა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც თათია ახალაია დოლჩე და გაბანას ჩვენებაში მონაწილეობს. თათია მსოფლიოში ცნობილი მოდის კვირეულების აქტიური მონაწილეა.

„ჩემი ცოლის დაქალების“ გუნდის განუყოფელი წევრი დათუნა გამყრელიძე გარდაიცვალა



ფორმულა კრეატივის სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ გუნდის განუყოფელი წევრი დათუნა გამყრელიძე მძიმე ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა.

ინფორმაცია სერიალის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– მძიმე ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი გუნდის განუყოფელი წევრი დათუნა (დათუბა) გამყრელიძე.

ის 18 სექტემბერს ავტოავარიაში მოყვა. თანავუგრძნობთ მის ოჯახს. არ არსებობს სიტყვები, რომლებიც ამ მწუხარებას გამოხატავს.

მშვიდად განისვენე, საყვარელო მეგობარო.

ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი აღდგენილია

ქვიშხეთში წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი აღდგენილია.

ინფორმაცია და ფოტოები ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ქვიშხეთში შესანიშნავად გაუკეთებიათ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი. დაუვიწყარი შთაბეჭდილება მივიღე. აქ ვნახე უზარმაზარი კოლხური ბზები, რომლებიც ზუგდიდის დადიანების სასახლისას ძალიან ჰგავს. აქ პირველად ვნახე ქართულ საყოფაცხოვრებო გარემოში განმარტოების ანუ სალოცავი ოთახი. მოკლედ, ძალიან ამაყი წამოვედი დიმიტრისეული სახლ-მუზეუმიდან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 ოქტომბრისათვის

ვერძი – მოულოდნელობებითა და ახალი თავგადასავლებით დატვირთული დღეა. ნუ გარისკავთ. **ჯერო** – დღეს ქალებს განსაკუთრებით უმართლებთ. მოსალოდნელია კარიერული წინსვლა, ფინანსური კეთილდღეობა. **ტყუპები** – იოლად არავის მიენდოთ. დიდია მოტყუების ალბათობა. ეცადეთ, თქვენი უნარები სრულყოფილად წარმოაჩინოთ. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი პერიოდი გაქვთ. პირადი მომხიბვლელობა და სითამამე მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. **ლომი** – საეჭვო ნაცნობებთან ურთიერთობას ერიდეთ. ნეგატიური დღეა, თუმცა თქვენი განცდები ამაოა. ყველაფერი მალე გაივლის. **ქალწული** – შორს გამგზავრება დროებით გადადეთ. დაისვენეთ ოჯახურ გარემოში. **სასწორი** – ცდუნებასა და პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. კრიზისულ სიტუაციებში თქვენი საუკეთესო მრჩეველი ცივი გონებაა. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტისაგან თავი შეიკავეთ. უსიამოვნებებს ფილოსოფიურად მიუდექით. **მშვილდოსანი** – დღეს მხოლოდ მთავარი საქმე აკეთეთ. ენერგია დაზოგეთ. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – დაკისრებული სამუშაო ყურადღებით შეასრულეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება გაგიჭირდებათ. **მერწყული** – შემოქმედებითი არეალი ფართოვდება. საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეთ. **თევზები** – ყურადღებითა და მშვიდად იყავით. ყოველ წვრილმანს ჩაუღრმავდით.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ 1500 კილოკალორია დავწვი.

– მართლა? მეც მინდა, მიდი, მიკარნახე, როგორ მოახერხე, უნდა ჩავიწერო.

– ჩასაწერი არაფერია, ქათამი ღუმელში შევდგი და ინტერნეტში შევედი...

•••

ექიმი ხანშიშესულ ქალს გასინჯვის შემდეგ ეუბნება:

– მთლიანობაში ყველაფერი წესრიგში გაქვთ, თუმცა უფრო მეტ აქტიურობას გირჩევდით, მაგალითად, კვირაში სამჯერ რომ გქონდეთ სექსი, ამაზე რას იტყოდით? ეს თქვენთვის იდეალური იქნებოდა.

– მე დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჯობია ეგ ჩემ ქმარს უთხრათ. მან მომიყვანა, გარეთ იცდის და ახლავე შემოვიყვან.

ქალმა ქმარი შემოიყვანა და ექიმი მას უხსნის:

– იმ დასკვნამდე მივედი, რომ თქვენი მეუღლისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ კვირაში სამჯერ მაინც ექნებოდა სექსი.

– და რომელ დღეებში?

– არ ვიცი... ვთქვათ, ორშაბათს ოთხშაბათს და შაბათს.

– შაბათს არ გამოვა.

– რატომ არ გამოვა?

– იმიტომ, რომ შაბათს თქვენთან იმდენი ხალხია რიგში, რომ მთელი დღე მოგვიწევს მოცდა.

•••

სოფლის გზაზე მანქანით მიმავალმა მამაკაცმა მამალს გადაუარა. მანქანიდან გადმოსულმა, მამალი აიღო, იქვე ეზოში შევიდა და მოხუც ქალს ეუბნება:

– შემთხვევით თქვენი მამალი გავიტანე და მინდა, შეგიცვალოთ.

– პრობლემა არაა, ქათმები საქათმეშია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კუმანი: „სევილიასთან მძიმე მატჩი ჩავატარეთ“

ბარსელონის მოგებების სერია სევილიასთან შეხვედრაში შეწყდა და კატალონიელები საკუთარ მოედანზე მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ. მატჩი 1:1 დასრულდა.

რონალდ კუმანმა განაცხადა, რომ სევილიამ მის გუნდს ნამდვილი გამოცდა მოუწყო:

– უნდა ვაღიარო, რომ ბარსელონას ამ შეხვედრაში იდეალურად ნამდვილად არ უთამაშია და ჩვენ გვქონდა შეცდომები, რომლებიც მომავალში არ უნდა დავუშვათ. მეტოქე ზოგჯერ ჩვენზე სწრაფად მოქმედებდა და ეს ფაქტი ნამდვილად დამაფიქრებელია.

ვან დეიკი: „ლივერპულის დაცვამ საშინლად ითამაშა“

ლივერპულმა სტუმრად ასტონ ვილასთან სამარცხვინოდ 2:7 წააგო და 7 გოლი ლივერპულმა ერთ შეხვედრაში 1953 წლის შემდეგ პირველად გაუშვა.

მატჩის შემდეგ ბევრმა ფეხბურთელმა კომენტარზე უარი თქვა, თუმცა ვან დეიკმა მაინც უთხრა ორი სიტყვა ჟურნალისტებს:

– მიჭირს იმაზე საუბარი, თუ რატომ წავაგეთ ასეთი ანგარიშით. ყველა რგოლმა ცუდად ითამაშა, მაგრამ დაცვას მაინც გამართლება არა აქვს. ამ მატჩიდან სათანადო დასკვნებს აუცილებლად გამოვიტანთ.

დესტი: „მინდოდა, ბარსელონაში თამაში გამარჯვებით დამეწყო“

ბარსელონის ჰოლანდიელმა მცველმა სერჟინიო დესტმა კატალონიურ გუნდში თავის დებიუტზე ისაუბრა და თქვა, რომ მას გამარჯვებით დაწყება სურდა, თუმცა სევილიისნაირ გუნდთან ფრეც არ არის ცუდი შედეგი:

– ჩემი თამაშის შეფასება გამიჭირდება, რადგან არაფერი გამიფუჭებია, მაგრამ არც არაფერი გამიკეთებია. შევეცდები, მომავალ მატჩებში უფრო პროდუქტიული ვიყო. სევილია ძლიერი გუნდია და მასთან ფრე ცუდი შედეგი არ არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მესი სუარესს არგენტინაში წაიყვანს

ახლოვდება სანაკრებო თამაშები და ლეო მესიმ თავისი კერძო თვითმფრინავის კარი ესპანეთში მოთამაშე არგენტინელ თანაგუნდელებსაც გაუღო. მესის თვითმფრინავით ბუენოს აირესამდე იმგზავრებს აგრეთვე მისი ახლო მეგობარი, ბარსელონის მიერ მადრიდის ატლეტიკოში გაშვებული ურუგვაელი ლუის სუარესიც.

არგენტინა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებს 9 ოქტომბერს შინ ეკვადორთან და 14 ოქტომბერს სტუმრად ბოლივიასთან მართავს. ურუგვაი 9-ში ჩილეს მასპინძლობს, ხოლო 14-ში ეკვადორს მიემართება.

ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებს მშობლიური კონტინენტისკენ მგზავრობა კოვიდ 19-ის პანდემიამ გაურთულა. მათ მთელი რიგი რეგულაციებისა და პროცედურების დაცვა უწევთ, ამიტომ მესის თვითმფრინავი საქმის მნიშვნელოვანი გაიოლებაა.

არგენტინელების სია, რომლებიც ბუენოს აირესში ბარსელონასა და „ალბისელესტეს“ კაპიტანს მიჰყვებიან, ასეთია: ლუკას ოკამპოსი და მარკოს აკუნია (სევილია), გუიდო როდრიგესი (ბეტისი) და ნეჰუენ პერესი (ატლეტიკო).

ბელარუსთან მაყურებლისა და ხოჭოლავას გარეშე

საქართველო-ბელარუსის მატჩი უმაყურებლოდ გაიმართება. ეს გადაწყვეტილება გუშინ, 5 ოქტომბერს, ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო.

კიდევ ერთი არასასიამოვნო ცნობა ის არის, რომ კორონავირუსი დაუდგინდა დონეცკის შახტარის ერთ-ერთ ფეხბურთელს, რის გამოც მთელი გუნდი კარანტინში გაუშვეს. აქედან გამომდინარე, ბელარუსთან მატჩისთვის საქართველოში ვერ ჩამოვა დავით ხოჭოლავა. არადა, დონბასური გუნდის მცველს სხვებზე მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა და სხვებზე უკეთეს ფორმაში ჩანდა.

საქართველოს ნაკრებმა კი შეკრება გუშინ დაიწყო, მაგრამ – არასრული შემადგენლობით. ვლადიმირ ვაისის კრებული დღეს შეივსება და სრულად ხვალ ივარჯიშებს.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ჯოხვოხდი ›



შვეულად: 1. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 5. ნივრის მსგავსი სუნის მქონე ტყის ბალახი, იყენებენ მწნილის დასამზადებლად; 8. რძის პროდუქტი; 9. ფარისევლური ქცევის, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ციფრული იაპონური გასართობი თავსატეხი; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

თარაზულად: 1. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვითი შეტევა; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 7. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. ქართული მინერალური წყალი; 11. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 13. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 15. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 17. უბანი ძველ თბილისში; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. ლიეტუველი კომპოზიტორი მამაკაცი; 20. ჭადრაკის ფიგურა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა